პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

რედაქციის მიღება საქმისთვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 სარ. №

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადება—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონი № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან.

პროვინციაში 12,000 მან.

№ 189 პარასკევი, 18 აგვისტო 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 18 აგვისტო 1922 წ. № 189

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა კომიაჩეიკებს 18 აგვისტოს

ერთიან პარტიულ დღეს

დასვან შემდეგი საკითხები:

1. დამშეულთა დახმარების შედეგები და პერსპექტივები.
2. ესერების პროცესი.

თბ. კომ. მდ. **კახიანი.**

კვირას, 20 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს შენობის დიდ დარბაზში მოხდება

საქართველოს საექიმო-სანიტარულ მუშაკთა კავშირის სრულიად საქართველოს მეორე ყრილობის საზეიმო გახსნა.

ვთხოვთ თბილისის ყველა მედიკებს, რომლებიც შედიან აღნიშნულ კავშირში გამოცხადდენ თავის დროზე.

(169—2—1) **საორგანიზაციო ბიურო.**

ორშაბათს, 21 აგვისტოს საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლის (ყოფ. ზუბალოვის) შენობაში შესდგება

თბილისის ქალაქის საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1) თბილისის ქალაქის აღმასკომის მუშაობის გეგმა.

2) კომუნალური მეურნეობის განყოფილების მოხსენება ქალაქის წარმოებათა მდგომარეობის შესახებ.

3) მიმდინარე საქმეები.

სავალდებულოა ყველა წევრების თავისდროზე გამოცხადება.

(169—2—1). მდივანი: **ხუნდაძე.**

განცხადება

(თბილის მცხოვრებთა საყურადღებოდ)

თბილისის ქალაქის აღმასკომთან არსებული შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის გამტარებელი კომისია

ამით აცხადებს, რომ თანახმად თბილისის ქალაქის აღმასკომის დადგენილებისა № 6 შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის მაგიერ ფულის აკრება თბილისში იწყება ამა წლის 21 აგვისტოდან.

ფული მიიღება სამისამართო მაგიდის წარმომადგენლებთან კომისარიატებში დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

ფული უნდა შეკრიბონ მდგმურებიდან, თანახმად § 3 დადგენილებისა № 6 და წარადგინონ სახლის პატრონებმა ან მათ მაგიერ პირებმა.

ფულის გადამხდელთ მიეცემათ სპეციალური მარკები

ვინაიდან ფული უნდა იქნას გადახდილი ოქროს კურსით, კურსი იქნება გამოცხადებული ცალკე ა.წ. 20 აგვისტოს.

კომისიის თავმჯდომარეს მოადგილე **ნ. ნახუცრიშვილი.**

პასუხის მგებელი მდივანი, კომისიის წევრი **ა. რუხაძე.**

(4—2)

ესერების პროცესი

(თეზისები ერთიანი პარტიული დღისათვის)

1. ესერების პროცესმა გამოააშკარავა წვრილ-ბურჟუაზიული ბუნება სოციალისტ-რევოლიუციონერებისა და მუშათა კლასის წინაშე გამოააშკარავა მთელი ბოროტმოქმედებანი ესერების პარტიისა მიმართული საბჭოთა ხელისუფლებისა და მსოფლიო სოციალური რევოლიუციის წინააღმდეგ. თავისი არსებობის მთელი 20 წლის განმავლობაში ეს პარტია არასდროს არ ყოფილა სოციალისტური, ხოლო რევოლიუციონური კი იგი იყო მხოლოდ 1917 წლამდე.

2. რუსეთის რევოლიუციის დასაწყისშივე იგი გამოდის როგორც კონტრ-რევოლიუციონური ძალა ბურჟუაზიასთან ერთ ბანაკში. სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის წარმომადგენლები შედიან შავ-რაზმულ ბანაკში (აღორძინების კავშირი, სამშობლოს დახსნის კომიტეტი, დამფუძნებელი კრების დაცვის კომიტეტი, ადმინისტრატიული ცენტრი და სხვ.) და სხვა სარგებლობდენ რა მსოფლიო ბურჟუაზიის მატერიალური და მორალური დახმარებით, აქტიურად იბრძვიან რევოლიუციისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

—ამასთან სოციალისტ რევოლიუციონერების პარტია არ ერიდება არავითარ საშუალებას, დაწყებული ცილისწამებიდან, სიცრუიდან და პროვოკაციიდან და გათავებული შეიარაღებული გამოსვლებით.

3. გასამართლებულ ესერებს ბრალს სდებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აშკარა შეიარაღებულ გამოსვლაში, დასავლეთის იმპერიალისტურ ქვეყნებთან კავშირის დაჭერაში და მათგან მატერიალურ და მორალურ დახმარების მიღებაში, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლასა და ჯაშუშობაში, და მუშათა კლასის ხელმძღვანელებზე ტერორისტული აქტების მოწყობაში.

4. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციამ ბუნებრივად დააყენა ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზიასთან ერთად სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიაც, რომელიც თანდათან ჩამოშორდა მის წამომყენებელ მასებს, ვერ გაუწია ანგარიში რევოლიუციონური ბრძოლის ობიექტურ პირობებს და როგორც პასიური პარტია უკვე აღარ არსებობდა.

5. 1917 წლის ივლისის დღეებში სოც.-რევოლიუციონერ კერენსკის მთავრობამ ამოჟლიტა რამოდენიმე ათეული პეტროგრადის მუშებისა და კრონშტადტის მატროსებისა. ბოლშევიკური მიმართულების მუშური გაზეთები დახურულ იქნა. მუშათა მოძრაობის მეთაურები არალეგალურ მდგომარეობაში გადადიან, ანადგურებენ კავშირებს და სდევნიან მუშათა კლასის აზროვნების თავისუფლებას.

6. ნოემბერს პეტროგრადის მუშებმა ხელში ჩაიგდეს ძალა უფლება და სოც. რევოლიუციონერები იწყებენ სამოქალაქო ომს, რომელიც გაგრძელდა სამი წლის განმავლობაში და რომელმაც შეიწირა მილიონი მსხვერპლი და გამოიწვია გაპარტახება და გაღარიბება. სოც. რევოლიუციონერების პარტიის ცენტრალური კომიტეტი აწყობს იუნკერ აზნაურების აჯანყებას პეტროგრადის მუშების წინააღმდეგ. სოც რევოლიუციონერების პარტიის ცეკას წევრები, ერთი გასამართლებულთაგანი ა. გოცი, არის მომწყობი იუნკრების აჯანყებისა, რომელმაც დიდი მსხვერპლი გაალებინა პეტროგრადის და მოსკოვის რევოლიუციონურ მუშებს.

7. 1917 წლის ნოემბერში იასაში გაიმართა ანტანტის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც იხილებოდა საკითხი მემარჯვენე ესერების აქტიური დახმარებით საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული ინტერვენციის დაწყების შესახებ. ჩეხო-სლოვაკების კონტრ-რევოლიუციონური აჯანყება მომზადებული და დაწყებული იყო სოც.-რევოლიუციონერების პარტიის მიერ. 1918 წლის 25 მაისს ჩეხო სლოვაკები ილაშქრებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ (მურმანი, არხანგელსკი, სამარა). ესერების ხელში იყვნენ კოოპერატიეები, რომელნიც ყველაფერს აწვდიდენ ჩეხო-სლოვაკების ეშელონებს. ს.-რევოლიუციონერების პარტიას დამოკიდებულება ჰქონდა ჩეხო ოფიცრობასთან და კავშირს აბამდა მათსა და საიდუმლო რუსის ოფიცრობის ორგანიზაციებთან. ჩეხო-სლოვაკების ხიშტების წყალობით სოც. რევოლიუციონერების პარტიამ შექმნა დამფუძნებელი კრების წევრთა კომიტეტის ხელისუფლება, რითაც ნიადაგი შეუმზადა კოლჩაკის მოძრაობას.

8. დამფუძნებელი კრების მოწვევის წინა დღეებში, პეტროგრადში სოც.-რევოლიუციონერების პარტიამ მოაწყო „მშვიდობიანი დემონსტრაცია"; ამ მშვიდობიანი გამოსვლის მიზანი იყო ბოლშევიკებთან შეიარაღებული შეტაკება. 5 იანვარს, დამფუძნებელი კრების გარეკის დღეს, „სამშობლოს დახსნის კომიტეტი" აძლევს ესერების ორგანიზაციებს ფულებს დამფუძნებელი კრების ხელისუფლების აღსადგენათ.

9. 1917 წლის ოქტომბრის დასასრულიდან 1920 წლის იანვრამდე უკრაინაში განუწყვეტლივ იცვლებოდა მთავრობები. კიევში იმ ხანებში მომუშავე ველიკორუსების ესერების ჯგუფი ყოველთვის კონტაქტში იყო ყველა ამ მთავრობებთან და იყენებდა მათ თავისი ერთად ერთი მიზნისათვის — ბოლშევიკებთან საბრძოლველად. როდესაც გერმანელებმა მოახდინეს უკრაინის ოკუპაცია, სოციალისტ-რევოლიუციონერები პარტია, რადას მფარველობით ადგენს რაზმებს საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად.

10. ტამბოვის გუბერნიის გლეხობის აჯანყება ესერების საქმე იყო. ანტონოვმა ისარგებლა ესერების მიერ მოწყობილი გლეხთა კავშირების ტამბოვში გლეხთა აჯანყების მოსაწყობათ.

11. საზღვარ-გარეთ სოც. რევოლიუციონერების პარტია წარმოადგენს იმ ორგანიზაციას, რომელიც აკავშირებს თეთრი ემიგრაციის ყველა კონტრ-რევოლიუციონურსა და რეაქციონურ ნაწილს და ეგრედ წოდებული—„ადმინისტრაციული ცენტრის" და „უპარტიო კავშირის" სახით, სარგებლობს რა საფრანგეთისა და ჩეხო-სლოვაკიის მთავრობათა მატერიალური დახმარებით, აწარმოებს მუშაობას საბჭოთა რუსეთში, შიგნით, ჯაშუშობისა და ხელის შემშლელი მუშაობის მოსაწყობად.

12. კავკასიაში სოც.-რევოლიუციონერების პარტია აწარმოებდა მუშაობას გლეხების, კაზაკებისა და მთიელების შესაკავშირებლად ბოლშევიკების საწინააღმდეგო გაერთიანებული ბრძოლისათვის. სახალხო სასურსათო კომისარიატის წინააღმდეგ მათი მოღვაწეობის შედეგები იყო ხორბლეულის შესანახი პუნქტების დაწვა, მატარებლების დამხვრევის მოწყობა და სხვ. სიმშილობა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში და შეუძლებლობა ყუბან დონიდან მრავალი მილიონი ფუთი პურის მიღებისა.

13. ამიერ-კავკასიაში სოც.-რევოლიუციონერების პარტია აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1918 წელში ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების დამხობაში და ინგლისის საოკუპაციო ჯარების მოწვევაში, სოც.-რევოლიუციონერების პარტიამ ხელი შეუწყო ბაქოს 26 კომისარების დახვრეტას და იმპერიალიზმის ასეთი ერთგული სამსახურისათვის სოც.-რევოლიუციონერების პარტიის ცნობილი წევრები დაჯილდოვებულ იქნენ გიორგის ჯვრებით ინგლისელების მიერ დაქირავებულ გენერალ ბიჩერახოვისაგან.

14. ესერების პარტიამ, ცეკას სახით, დასტური მისცა ამხ. ვოლოდარსკის, ურიცკის მკვლელობას და ამხ. ლენინზე თავდასხმას, მაგრამ თავისი წვრილ-ბურჟუაზიული ბუნებითა და ლაჩრობით ოფიციალურად უარი განაცხადა ამ აქტებში თავის მონაწილეობის მიღებაზე, რითაც ამრიგად აწარმოებდა თავისავე წევრების პროვოკაციას.

15. რუსეთში სიმშილობის ნიადაგზე ესერების მიერ წარმოებული აგიტაცია და აგრეთვე მათი მონაწილეობა და როლი კრონშტადტისა და კარელიის აჯანყებაში, არის მათი მუშურ-გლეხური ხელის უფლების საწინააღმდეგო მოქმედების უკანასკნელი ეპიზოდები. სოც. რევოლიუციონერების პარტიას ნებაყოფლობით არას დროს და არც ერთ შემთხვევაში არ უთქვამს უარი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

16. საბჭოთა ფედერაციაში ესერების პარტია არის ფილიალური განყოფილება, 2 და 2 ნახევარი ყვითელი ინტერნაციონალისა. და მასთან ბურჟუაზიული კონტრ-მენშევიკებისა და ამიტომაც სარგებლობს ზ. გ. ვანდერველდეების და სხვ. დაცვით, რომელნიც საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ მრავალი ცილისწამებათა გავრცელებით დაუფასებელ სამსახურს უწევენ მსოფლიო იმპერიალიზმს.

17. ესერების პარტიის მეთაურების გასამართლებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რადგან იგი არის გასამართლება 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალებისა და ათავისუფლებს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას საზოგადოებრივი მშვიდობიანობისათვის ამ საშიში ელემენტებისაგან, რადგანაც აიძულებს მათ შესწყვიტონ ხელის შემშლელი მუშაობა მუშა-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ.

18. უზენაეს რევოლიუციონურ ტრიბუნალს არ გამოუტანია ერთგვარი განაჩენი ბრალდებულ ესერების ყველა წევრისათვის, რითაც აშკარა გაკვეთილი მოგვცა რევოლიუციონური მოქმედებისა; მან უმაღლესი სასჯელი მიუსაჯა პროლეტარიატის გამცემლებს, ხოლო ვინც მონანია ცოდვები და ვინც მოტყუებული იყო, მიიღო რა მხედველობაში მათი სოციალური მდგომარეობა, ტრიბუნალმა ისინი სავსებით გაანთავისუფლა სასჯელისაგან. სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა დაამტკიცა ტრიბუნალის განაჩენი, მაგრამ განაჩენის სისრულეში მოყვანა შეაჩერა. იგი სისრულეში იქნება მოყვანილი, თუ სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტია კვლავ მიმართავს შეიარაღებული ბრძოლის მეთოდებს მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

ახალ ფრონტზე

პროლეტარიატის კლასობრივი მტრები დიდ იმედებს ამყარებენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე. შეიარაღებულ ბრძოლაში დამარცხებულნი, ისინი ოცნებობენ საბჭოთა წყობილების თანდათანი გარდაქმნაზე „მშვიდობიანი" საშუალებებით, მუშათა კლასის დიქტატურის შეცვლაზე ბურჟუაზიული დემოკრატიით.

ესერები, მენშევიკები და სხვა ბურჟუაზიული ჯგუფები ამ მიზნით ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ ახალი პოლიტიკის ყველა „ლეგალური" შესაძლებლობანი.

კაპიტალიზმის ნაწილობრივი აღორძინების დაშვებით გამოწვეული მოქმედების ერთგვარი თავისუფლება ეკონომიურ სფეროში უნდათ გაავრცელონ ცხოვრების პოლიტიკურ და კულტურულ ნაწილზედაც, ამ გვარად სცდილობენ სამეურნეო საქმიანობის საზღვარს და ისწრაფიან, ამ ზინოვიევის სიტყვით რო ვთქვათ, „ახალი პოლიტიკური პოლიტიკის" დამყარებისაკენ, ე. ი. ბურჟუაზიულ წყობილების რესტავრაციისაკენ.

და ასეთი მოტივები ამოძრავებს არა მარტო მენშევიკ-ესერებს, არამედ იმ ჯგუფებსაც, მაგ. „სმენავეხოველებს", უპარტიო ინტელიგენციის ნაწილს, რომელთაც „მიიღეს" ოქტომბრის რევოლიუცია. ამ „მიღებას" უკანასკნელ საფუძვლად უდევს იმედი საბჭოთა რეჟიმის გარდაქმნისა ბურჟუაზიულ უფლებრივი სახელმწიფოს აზრით.

აღნიშნული ძირითადი მიზნის მისაღწევად ყველა ეს ჯგუფები სხვა და სხვა სახით და საშუალებებით მოქმედებენ. სხვა და სხვა ნაირია მათი მუშაობის სარბიელიც.

კოოპერაცია, პროფ კავშირები, სკოლა, გამომცემლობა, სხვა და სხვა კრებები და ყრილობები კომისიები და სხვ.—აი მათი მუშაობის საკმაოდ ფართე სფერო; ყველგან, მეტი თუ ნაკლები სიცხადით და სითამამით აყენებენ თავიანთ „პროგრამას" და ანვითარებენ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, და ასე, ამ გზით ცდილობენ შექმნან ხელსაყრელი ფსიქოლოგიური და იდეიური ატმოსფერა, თავიანთ სოციალურ-პოლიტიკურ მიზნების განხორციელებისათვის.

კოოპერაციაში ისინი ცდილობენ მიიმხრონ წვრილ ბურჟუაზიული და უფორმო მასსა და შექმნან ეკონომიური ბაზა კონტრ-რევოლიუციისათვის.

სკოლებში მათი მასწავლებლები და პროფესორები მოსწავლე ახალგაზრდობას სწამლავენ რეაქციონური ინდივიდუალისტურ-იდეალისტური შეხედულებებით. ასეთივე აზრებს ავრცელებენ ისინი ლიტერატურის საშუალებით, იმ ალმანახებში და კრებულებში, რომლებსაც აქა იქ სცემენ „ძველი" ლიტერატორები, კონტრაბანდად, ხან კი აშკარად უხვადაა გაბნეული საბჭოთა სისტემის და პოლიტიკის საწინააღმდეგო აზრები.

არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მუშაობა არ იყოს საშიში მუშათა კლასისათვის. წვრილ ბურჟუაზიული სტიქია, რომლითაც გარს შემორტყმულია პროლეტარიატი, ცდილობს მის წალეკვას, ცდილობს მის კულტურულ კაპიტულიაციას და საბოლოო ანგარიშით არსებული ძალაუფლების დამხობას.

რა საშუალებები გააჩნია პროლეტარიატს და მის ავანგარდს, კომუნისტურ პარტიას, რათა გაუმკლავდეს ბურჟუაზიის ამ „მშვიდობიან" შემოსევას, და არამც თუ გაუმკლავდეს თვითონ, არამედ ფართე მასსების იდეურ დაპყრობისათვის ბრძოლაში დაამარცხოს იგი?

უნდა ითქვას აშკარად, რომ ჩვენი პარტია შედარებით სუსტია ინტელექტუალური ძალებით. სხვათა შორის, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მრავალი დარგი საზოგადოებრივ კულტურული ცხოვრებისა ჯერ ისევ დაუპყრობელი გვაქვს. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს პარტიული ამხანაგების შეგნების დონის ამაღლებას და კლასობრივ ცნობიერების გაღრმავებას.

ამ მხრივ მარქსისტული აზროვნების გავრცელებას, სხვა და სხვა წრეების, სკოლების და სხ. საშუალებით, პარტიულ საბჭოთა პრესის სისტემატიური ბრძოლას ბურჟუაზიულ იდეოლოგიის წინააღმდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საკმაოდ მომზადებული პარტიული მასები ადვილად აიტანენ ბურჟუაზიულ სტიქიის იერიშს და შესძლებენ გამოაცალონ საბჭოთა ხელისუფლების მტრებს გავლენა ფართე მასსებში.

მაგრამ აქ საჭიროა არა მარტო თეორიული ცოდნა და სიტყვიერი აგიტაცია-პროპაგანდა, არამედ ცოცხალი მაგალითი, თავდადებული მუშაობა ხალხთან ერთად. ჩვენი პარტია უნდა დაეხმაროს მშრომელ მასსას მის მეურნეობის აღორძინებაში და მის კულტურულ შეგნების ამაღლებაში. და ასეთი პრაქტიკული მუშაობით პარტია გაცილებით უფრო მეტს გააკეთებს, მეტ ნდობას მოიპოვებს და ნიადაგს გამოაცლის იმ ჯგუფებს, რომელნიც ლამობენ ფართე მასსის თავის გავლენის ქვეშ მოქცევას.

პარტიის წევრების საერთო და კლასობრივი განვითარების გაღრმავება, დადებითი მუშაობა ხალხის სამეურნეო ცხოვრების ასაღორძინებლად, მისი კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა და ამ მხრივ ჯანსაღი საზრდოს (გაზეთები, წიგნები და სხვა) და საიმედო ხელმძღვანელების მიწოდება, აგიტაცია პროპაგანდის გაძლიერება— აი ზოგიერთი ზომათაგანი, რომელნიც შეგვაძლებინებს დაპყრობილი პოზიციები მტკიცედ შევინარჩუნოთ, კლასობრივი მოწინააღმდეგენი დავამარცხოთ და ხალხის ეკონომიურ-კულტურული ცხოვრება წარვმართოთ სასურველი გზით.

რადიო-დეპეშები

(„კავროსტა")

ლონდონის თათბირი

ლონდონის თათბირის დასასრული.

ნაუენი, 16 აგვისტო (რადიო). ვინაიდან გამოირკვა, რომ ყოვლად შეუძლებელია რაიმე შეთანხმება კონფერენცია დაიხურა 14 აგვისტოს.

გათიშვის ერთ-ერთი მიზეზი იყო საკითხი გერმანიის საკონტრიბუციო საბოლოო გადაწყვეტის ვადის გაგრძელების შესახებ გერმანიისათვის მარატორიუმის მიცემით. პუანკარემ უარჰყო ყოვლგვარი მარატორიუმი გარანტიების გარეშე რომელთა რიცხვში მნიშვნელოვნად ითვლება გერმანიის ტყეებისა და მადნეულების შემოსავლის კონფისკაცია.

ახალი კონფერენცია.

ნაუენი, 16 აგვისტო (რადიო). ახალი კონფერენციის მოწვევის ვადა ჯერ განსაზღვრული არ არის.

ახალი კონფერენციის მოწვევის ადგილი.

ბორდო, 16 აგვისტო (რადიო). ახალი კონფერენციის მოწვევის ადგილად ასახელებენ ვენეციას.

შანცერის განცხადება.

რომი, 16 აგვისტო (რადიო). მოკავშირე სახელმწიფო დელეგაციათა წარმომადგენლების გუშინდელ დილის სხდომაზე, შანცერმა გააკეთა შემდეგი დასკვნითი ოფიციალური განცხადება იტალიის დელეგაციის სახელით გერმანიის მარატორიუმისა და ევროპის ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემის შესახებ: „თუ არ იქნა გამონახული გზა საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაჭრისათვის ტყუილი იმედია ევროპაში დამყარდეს მშვიდობიანობა და დაუბრუნდეს იგი ნორმალურ მშვიდობიან ეკონომიურ ცხოვრებას.

საკითხი რეპარაციების შესახებ მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო ვალების საკითხთან, სანამ უკანასკნელი საკითხი არ იქნება გადაწყვეტილი, ევროპას არ შეეძლება თავისუფლად ამოისუნთქოს და მართლაც ეკონომიური და პოლიტიკური აღორძინება წარმოუდგენელია. ვალები, რომლის შესახებ აქ არის ლაპარაკი, უნდა იქნას განხილული, როგორც ვალები არა ცალკე პირთა შორის, არამედ როგორც ერთი პირობითაგანი საერთო წარმოებისა, არც ერთ სახელმწიფოს არ აუღია ვალები თავისი პირადი ინტერესებისათვის, არამედ ყველა მოკავშირეთა და მათ მომხრე სახელმწიფოთა ინტერესებისათვის. ამასთანავე ეს ვალად აღებული ფულები დაიხარჯება და განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომელთაც კრედიტები გახსნეს და რომელთაც ფული გაასესხეს.

როდესაც დაიწყო ომი იტალიის ნეიტრალიტეტმა უშველა მოკავშირეთა საერთო საქმეს. შემდეგ იტალიამ, ომის მეტად მძიმე მომენტში თვით მიიღო მონაწილეობა ომში, მოსალოდნელი იყო ხანმოკლე ომი და იტალია დაკმაყოფილდა იმით რომ სთხოვა 50 მილ. გირ. სტერლინგის სესხი.

ამ ჟამად იტალიის მიერ საზღვარ-

პრესა

მდგომარეობა მსოფლიო ომის რვა წლის თავზე.

„სმენავეხისტების" გაზეთი „ნაკანუნე" (ბერლინი) აღწერს იმ მდგომარეობას, რომელიც შექმნილია მსოფლიოში დიდი ომის რვა წლის თავზე და ვერსალის „ზავის" შემდეგ. ომი ან საომარი მდგომარეობა, ბოლოკვდა და ყოველ დღე ცხოვრება ყველგან ასეთია სურათი ამ მდგომარეობის. „ომი გრძელდება—სწერს გაზეთი.—მის ლიკვიდაციის შესაძლებლობას ვერ ვხედავთ მსოფლიო პოლიტიკის მესვეურთა ვერც საქმეებში და ვერც სიტყვებში. ხანძარი, აგიზგიზებული 1914 წელს, შორს არის ჯერ კიდევ ჩაქრობისაგან ცეცხლი წამკიდებელი ნივთიერებანი უხვათაა ჯერ კიდევ დაგროვილი".

საინტერესოა „განდეომილთა" აზრი იმის შესახებ, თუ როგორი შეუძლია კაცობრიობას გამოვიდეს ასეთი მდგომარეობიდან.

„განაწამები ხალხები სასოწარკვეთილი ეძებენ გამოსავალს შეუჩერებელი გადაშენებიდან და თანდათან აშკარა ხდება, რომ ერთად ერთი საშუალება ომიდან თავის დასაღწევად არის **რუსეთის მიერ არჩეული გზა**, გზა ძველი არსებობის იმპერიალისტური პირობების ლიკვიდაციისა, გზა ერების ფართო უფლებათა აღიარებისა, უარის თქმა აშკარა და დაფარულ ანექსიებზე და კონტრიბუციებზე".

„სმენავეხისტები" „საპრო" სიფრთხილეს იჩენენ იმის გამოაშკარავებაში, თუ როგორი იქნება მათი „პრაქტიკა", გამომდინარე მდგომარეობის ასეთი შეფასებიდან, მაგრამ უკვე ერთი „თეორიაც" იმ მოღვაწეების, რომლებიც აქტიურათ ღებულობდნენ მონაწილეობას „ცეცხლის წაკიდებაში", მაჩვენებელია თავისთავად.

* *

თეთრგვარდიელთა დაშლა გრძელდება.

იმავე „ნაკანუნე" მოჰყავს მილიუკოვის გაზეთიდან შინაარსი ცნობილი მწერალის, კუსკოვ ქალის, მოხსენებისა თემაზე: „**მოკვდა თუ არა რუსეთი?**", რომელიც მან წაიკითხა პარიზში. „პოსლედნიე ნოვოსტი" (მილიუკოვის) სწერს ამ მოხსენების შესახებ:

„ასეთი დაყენება კითხვის („მოკვდა თუ არა რუსეთი") შეიცავს მთელ შინაარსს ემიგრანტთა წრეებში მიმდინარე დავისას. თვით რუსეთში ასეთი კითხვა არ დაისმებოდა. ის აღიძრა მათ შორის, რომლებიც მოწყვეტილი არიან სამშობლოს, მაგრამ ინერციით მაინც მოაქვთ თავი რუსეთის მხსნელებათ. ძირითადი შეცდომა ამ ხალხის იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის მცხოვრებნი მათ გამოჰყავთ პასიურ მასათ, რომელიც თავის ხსნას გარედან ელის. ამასთან ერთად მასას ეს მხსნელები აწერენ თავიანთ შეხედულებებს. მათი აზრით, თუ ამ მასებს წესრიგი სურთ—მაშ მათ უნდათ კვლავ მეფის დაბრუნება და მონარქიის აღდგენა. თუ მათი სურვილია ხელი ჩაიგდონ მიწას, რომელიც მათ იკუთვნით დღის—მხსნელებს ჰგონიათ, რომ ისინი ამ ფაქტით მოწადინებული არიან შეუთანხმდნენ პომეშჩიკებს. თუ ისინი უარჰყოფენ ძველ პოლიტიკურ პარტიებს—მათ ჰგონიათ, რომ ამით ისინი იმხრობიან „რუსის ხალხის კავშირს". თუ მასა წინააღმდეგია ბოლშევიკური ოფიციალური ატეიზმისა—მაშ მოსახერხებლათ მიაჩნიათ მხსნელებს აღადგინონ ეკლესიის სახელმწიფოებრივი ბატონობა. თუ წინააღმდეგი არიან კომუნისტების სკოლისა—მაშ შეიძლება მისი შეცვლა საეკლესიო სკოლებით და სხვა და სხვა. მთელი ეს პროგნოზი დაკავშირებულია ჩვეულებრივ სრულ უცოდინარობასთან იმის შესახებ, თუ რა ხდება რუსეთში. კიდევ მეტი. ეს პროგნოზი სწორეთ ასეთი უცოდინარობისაგან გამომდინარეობს. დღეს კი, რაკი რუსეთის საზღვრები გახსნილია და იქაური მდგომარეობის გაგება გაადვილებულია—ეს უცოდინარობა მიუტევებელი და დაუშვებელია.

რუსეთი ცოცხალია. ეს არის ახალი რუსეთი. მის ნანგრევებსა და ფერფლს ქვეშ ძგერს სალი გული ერის. გაიარა რა ყველა ხალხისათვის აუცილებელი წვალება და ტანჯვა, ეს ერი გაიზარდა და ნებას არავის მისცემს, რომ მას მოეპყრან, როგორც უხასიათო და მორჩილ ბრბოს. ამის არ დაჯერება და რუსეთის ცხოვრების მოვლენებისადმი სკეპტიციზმის გამოჩენა შეუძლია მხოლოდ მათ, ვისაც საზოგადოთ არაფერი სჯერა ხალხის ზრდის კანონების ან და ვისაც რუსის ხალხი გადაშენების გზაზე შემდგარათ მიაჩნია, რომელზეც ეს კანონები არ ვრცელდება."

ასეთია მილიუკოვისთვის სამწუხაროდ მდგომარეობა რუსეთში, რომელსაც ის გამოხატავს არა მთლიანი სიმართლით, არა საკმაო სისწორით, მაგრამ მისთვის დღემდე მაინც უჩვეულო შედარებითი სისწორით. ეს მდგომარეობა აღონებს კადეტების „დემოკრატიული" ჯგუფს ბელადს. გაზეთი კითხულობს:

„ნუ თუ საჭირო იქნება ან ახალი ფაქტების შეფარდება ძველ სხიმებთან—როგორც ფიქრობს მარკოვი 2, ან **გადახვეწა მეორე პოლიუსზე, სმენავეხისტების რიგებში?**"

აი არჩევანი, რომლის წინაშე სდგებიან თანდათან თეთრგვარდიელები. თვით „სმენავეხისტების" [illegible] ამ აზრით უკვე მოწმობს მდგომარეობის იმ კრიტიკულ გადატეხაზე, რომელიც სწარმოებს დღეს კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციაში.

საქართველოს

გარედ გალებული ვალები ომის დროს უდრის 900 მილ. გირ. სტერ. იტალიამ ომის დროს გაიღო ადამიანის დ მატერიალური დიდძალი მსხვერპლი ხოლო გამარჯვებამ არავითარი ეკონომიური სარგებლობა მას არ მისცა. ერთ ქვეყანას ომის განმავლობაში არ დაუხარჯია ისე მძლავრად თავისი ეკონომიური ძალები ომის სასარგებლოდ როგორც იტალიას, თუ შევადარებთ ამ ქვეყნების ეროვნულ სიმდიდრეს იტალიის სიმდიდრესთან. სამართლიანობა მოითხოვს, რომ როგორც ჩვენთვის, ისე ჩვენისთანა პირობებში მყოფ ქვეყნებისათვის, გამონახულ იქნეს საშუალება, რათა თავი დავაღწიოთ ეკონომიურ კატასტროფას და ჩვენი ვალიუტის განუწყვეტელ დაცემას, რომლის ისრედ დაცემა კრედიტორებისათვისაც საზარალოა. ბელგიის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა შანცლერის განცხადებას და მხურვალედ მიენდო მოკავშირეებს მთლიანობის დაცვისაკენ. შანცლერის სიტყვის შემდეგ სხდომა იხურება.

კაბინეტის სხდომა.

ნაუენი. 16 აგრისტო. როგორც კი ლონდონის თათბირი დაიხურა, მაშინვე გაიმართა ინგლისის კაბინეტის სხდომა.

ახალი კონფერენცია.

ჰანოვერი. 16 აგვისტო (რადიო). ლონდონის თათბირზე გადაწყვეტილია, რომ შემდეგი კონფერენცია მოხდეს ბრიუსელში ნოემბერში.

საბოლოო გადაწყვეტილება.

მაუენი. 16 აგვისტო (რადიო). მორატორიუმის საკითხის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა დაევალა საკონტრიბუციო კომისიას. უკანასკნელმა გადასცა გერმანიის მთავრობას წინასწარი პასუხი გერმანიის მემორანდუმზე მორატორიუმის შესახებ. საბოლოო პასუხის მიცემას საკონტრიბუციო კომისია ფიქრობს მას შემდეგ, როდესაც გერმანია შეიტანს 15 აგვისტოს მორიგ გადახდას.

ინგლისის პრესა თათბირის ჩაშლის შესახებ.

ნაუენი. 16 აგვისტო (რადიო) ინგლისის პრესის უმრავლესობა სწუხს თათბირის ჩაშლის გამო დ ამ უკანასკნელზე პასუხის მგებლობას სრულიად პუანკარეს აკისრებენ „დეილი ქრონიკლ“-ის აზრით, რომ ლონდონის კონფერენციაზე პუანკარე არ ყოფილიყო, შეთანხმება მიხწეულ იქნებოდა 15 წუთში. პუანკარეს ასეთი პოზიცია, პრესის აზრით, აიხსნება მის მიერ აქამდე მიხწეულ გამარჯვებით. „დეილი ნიუზი“ პუანკარეს შეილობს ადაოებს.

გერმანიის პრესა თათბირის ჩაშლის შესახებ.

ჰანოვერი. 16 აგვისტო (რადიო) გაზ. „გერმანია“ სწერს: „გერმანიამ გულგრილად და სიმშვიდით უნდა შეხვდეს შესაძლო შედეგებს“. გაზ. „დეიტშე ალგემეინე ცეიტუნგ“ ფიქრობს, რომ საკონტრიბუციო კომისიის დროებითი ლმობიერება არის მხოლოდ შესვენება, რომლის შემდეგ გერმანიის საკონტრიბუციო დრამა გადაიქცევა ტრაგედიათ.

შემთანხმებელთა აზრი

ჰანოვერი. 16 აგვისტო (რადიო) გაზ. „ფორვერტსი“ სწერს, რომ ლონდონის თათბირის ჩაშლა წინადვე მოსალოდნელი იყო და რომ ეს სერიოზული მოვლენაა ამის დამამტკიცებელია ანტანტის გერმანიისადმი მტრული განწყობილება.

ავსტრალიის საქმეები.

რომი. 16 აგვისტო (რადიო). გუშინ, საღამოს ლონდონში მოკავშირე სახელმწიფოების მინისტრებმა განიხილეს ავსტრიის მდგომარეობის საკითხი. სხვადასხვა მთავრობების წარმომადგენლები, განსაკუთრებით ინგლისის მთავრობისა, როგორც თათბირზე გამოირკვა, ნაკლებად არიან მომხრენი მისცენ ავსტრიას ახალი სესხი. ამის გამო, საკითხი გადაეცა ერთა ლიგაში, რომელმაც უნდა წარმოადგინოს დასკვნა ამის შესახებ.

რეპარაციები.

მოსკოვი. 16 აგვისტო (რადიო). 14 აგვისტოს ლონდონში შესდგა ლოიდ-ჯორჯის თათბირი პუანკარესთან, ფენისონთან და შანცლერთან შექმნილი მდგომარეობის გამოსარკვევად. უთანხმოება პრემიერთა შორის უცვლელი რჩება ყველა პუნქტებში. ერთად ერთი საკითხი, რომელშიაც პრინციპიალური შეთანხმება შესაძლებელი შეიქნა, ეს არის კონტროლი გერმანიის სახელმწიფო ბანკზე ქაღალდის ფულის ემისიის მოსაწესრიგებლად და მიმდინარე ხარჯების შესამცირებლად, თუ მდგომარეობა არ შეიცვალა საკითხი მორატორიუმის შესახებ გადაეცემა სარეპარაციო კომისიას განსახილველად.

მოსკოვი. 16 აგვ. (რადიო). ლონდონის თათბირის უკანასკნელმა სხდომამ ვერავითარი განსაზღვრული შეთანხმება ვერ მოგვცა საკითხი მორატორიუმის შესახებ ღიათ რჩება.

მოსკოვი. 17 აგვისტო (რადიო). ლონდონის კონფერენცია უნაყოფოდ დამთავრდა, პუანკარეს ქინიანობის გამო.

— კონფერენციის დამთავრების გამო გაზ. „ფორვერტსი“ აღნიშნავს (დამახინჯებულია)... საფრანგეთისას.

— 16 აგვისტოსათვის დანიშნული იყო საფრანგეთის მთავრობის თათბირი, რომელზედაც განიხილებოდა ლონდონის კონფერენციის შედეგები.

— საფრანგეთის პრესა იცავს პუანკარეს პოზიციას.

— „ჰავასის“ კორესპონდენტს მოყავს პუანკარეს განცხადება, **რომელიც განხეთქილების შესახებ ლაპარაკობს.**

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია და ანტანტა.

მოსკოვი. 16 აგვისტო (რადიო). გერმანიის მთავრობამ გაუგზავნა საფრანგეთს ორი საპროტესტო ნოტა გაიძვერული პოლიტიკისა და ელზას ლოტარინგიაში წარმოებულ გამოსახლების წინააღმდეგ. გერმანია წინადადებას იძლევა საკითხი გადასაბადის შესახებ გადაეცეს საერთაშორისო საარბიტრაჟო კომისიას. მეორე ნოტაში მიუთითებს იმაზე, რომ უცხო სახელმწ. ქვეშევრდომთა სისტემატიური გამოსახლება და მათთვის ყოველივე საარსებო საშუალების მოსპობა ეწინააღმდეგება ყველა საერთაშორისო ჩვეულებებს. გერმანიის პრესა ფიქრობს, რომ ნოტები ძლიერ ლმობიერი ტონით არის შედგენილი და არ გამოხატავს იმ აღშფოთებას, რომელიც გერმანიის ხალხში პუანკარეს საქციელმა გამოიწვია.

გამოსახლება ელზას ლოტარინგიიდან.

მოსკოვი. 16 აგვისტო (რადიო). რეინის სოციალ-დემოკრატიის პრ. ორგანიზაციის წარმომადგენელმა განუცხადეს ლოიდ ჯორჯს პროტესტი სოციალისტ მუშათა სახელით პუანკარეს წინადადების წინააღმდეგ, რომელიც ეხება რეინის ოლქში ძალდატანებითი ზომების შემოღებას —500 კაცი, რომლებიც საფრანგეთმა ელზას ლოტარინგიიდან გამოასახლა, უმეტესად არიან მუშები, კონტორის მოხელეები, მოსამსახურეები და კლენერეგები. ზოგიერთი მათგანი ცხოვრობდა ელზაში 40 წელზე მეტს.

მარკის კურსის დაცემა.

ნაუენი. 16 აგვისტო (რადიო). ლონდონის კონფერენციის უშედეგოდ გათავებამ და საფრანგეთის მუქარამ ისარგებლოს მოქმედების თავისუფლებით და იხმაროს რეპრესიები გერმანიისადმი გამოიწვია ის, რომ ბერლინის ბირჟაზე დოლარის ფასმა აიწია 1040 მარკამდე.

გერმანიის ნოტა მოკავშირეებისადმი.

ბორდო. 16 აგვისტო (რადიო). გერმანიის მთავრობამ გადასცა მოკავშირეებს ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ აქამდის არ გაუციათ პასუხი გერმანიის 14 ივლისის ნოტაზე. ნოტაში აგრეთვე ნათქვამია, რომ გერმანიას არ ექნება საშუალება შეიტანოს 15 აგვისტოს მთელი გადასახადი 2 მილ. გირ. სტერლ. ამიტომაც არის, რომ მას შეაქვს 800.000 გ. სტერ. რათა დაარწმუნოს ანტანტა, რომ მას სურს შეძლებისდაგვარად შეიტანოს გადასახადები.

საფრანგეთის წრეების აზრი.

ბორდო. 16 აგვ. (რადიო). საფრანგეთის ოფიციალ. წრეებში გამოთქმულია იმედი, რომ ბელგია მხარს დაუჭერს საფრანგეთის მორატორიუმის საკითხში და საკონტრიბუციო კომისიაში წინააღმდეგ მისცემს ხმას მორატორიუმის საკითხს.

ამავე დროს ოფიციალურ წყაროებიდან იტყობინებიან, რომ საკონტრიბუციო კომისიის ინგლისის და იტალიის წევრების აზრს; რომელნიც ფიქრობენ, რომ გერმანიისათვის მორატორიუმის მინიჭება არის ერთად ერთი საშუალება გერმანიის მარკის კურსის კატასტროფიული დაცემის შესაჩერებლად.

მოკავშირეთა ბატონ-პატრონობა.

ჰანოვერი. 16 აგვისტო (რადიო). ბერლინის მთავრობის რწმუნებული ვისმადენში საკავშირო კომისიის მიერ გადაყენებულია თანამდებობიდან იმისათვის; რომ რატენაუს მოკვლის შესახებ გამართულ დემონსტრაციის დროს არ გამოიჩინა საკმაო გულმოდგინება.

გერმანიის დამოუკიდებლები საფრანგეთში.

მოსკოვი. 16 აგვისტო (რადიო). საფრანგეთიდან გერმანიაში დაბრუნებული გერმანიის დამოუკიდებელთა ლიდერი ბრეიტოდე მოწვეულ იქნა ვირტისა და ებერტის კერძო თათბირზე და გაუზიარა მათ თავისი შთაბეჭდილებანი, ბრეიტოდე არწმუნებდა მათ, რომ საფრანგეთის ყველა წრეებში მას დიდი ენტუზიაზმით ხვდებოდენ. არა მარტო მუშები, არამედ მსხვილი მრეწველები მომხრენი არიან გერმანიასთან შეთანხმებისა. საფრ. პალატა, რომელიც მხარს უჭერს პუანკარეს, არ გამოხატავს საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს. პუანკარეს კაბინეტს ძალიან გაუჭირდება გასტანოს ზამთრის ბოლომდე. პუანკარეს მემკვიდრედ ბრეიტოდე სთვლის (გვარი დამახინჯებულია)... რომელიც არ შეუშინდება ინგლისთან განხეთქილებას და დაიწყებს (გამოტოვებულია).. შესაძლოა მეორე მემკვიდრე —ბართუ, რომელიც შეეცდება გერმანიასთან შეთანხმებას.

გერმანია

სასოფლო მეურნეობის მუშების გაფიცვა

ჰანოვერი. 16 აგვისტო (რადიო) შუა გერმანიის 11 რაიონში მათ შორის კესელში, ვალდეში და სხვა დაიწყო სასოფლო მეურნეობის მუშების გაფიცვები.

რუსეთის კომუნისტები.

მოსკოვი. 16 აგვისტო (რადიო). 12 აგვისტოს კოშინგი (ჩეხო-სლოვაკია) გაიმართა კომპარტიის მიტინგი რომელზედაც კომუნისტებმა დასდეს ფიცი კოიმუნისტური პრინციპისადმი ერთგულებაში პოლიცია შეეცადა გაერეკა მიტინგი. მოხდა შეტაკება რომლის დროსაც დაიჭრა 8 პოლიციელი.

სამუშაო დღე გერმანიაში.

მოსკოვი. 16 აგვ. (რადიო). გერმანიაში სამუშაო დღის ვადის ახალი დებულება, მოხელეთა და რკინის გზელთა კავშირების მიერ უარყოფილი, როგორც 8 საათის სამუშაო დღის კანონის დამრღვევი, ფაქტიურად შემოღებულია რკინის გზებზე.

ინგლისი

მოლაპარაკება ამერიკასთან

ნაუენი. 16 აგვისტო (რადიო). ლლოიდ-ჯორჯმა განაცხადა ხაზინის ლორდ-კანცლერის ხორნის ვაშინგტონში გამგზავრების შესახებ ინგლისის ვალების კონსოლიდაციის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

საფრანგეთი

კაბინეტის სხდომა.

ბორდო. 16 აგვისტო (რადიო). ოთხშაბათს შესდგება მინისტრთა საბჭოს სხდომა. „ტან“-ის ცნობით კაბინეტი განიხილავს საკითხს, დეპუტატთა პალატის სასწრაფოდ თავის დროზე მოწვევის შესახებ.

პუანკარეს დაბრუნება.

ბორდო. 16 აგვისტო (რადიო). პარიზში დაბრუნდნენ პუანკარე და საფრანგეთის დელეგაციის დანარჩენი წევრები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ ლონდონის თათბირზე.

გერმანიის საკითხის განხილვა.

რომი. 16 აგვისტო (რადიო). დღეს საფრანგეთის მინისტრთა საბჭო განიხილავს იმ მდგომარეობას, რომელიც შექმნილია მოკავშირეების შორის უთანხმოების გამო, გერმანიის მორატორიუმის საკითხის შესახებ. განხილულ იქნება ინსტრუქციები, რომლებიც უნდა მიეცეს საფრანგეთის წარმომადგენელს საკონტრიბუციო კომისიაში.

პუანკარეს მუქარა.

ნაუენი. 16 აგვისტო (რადიო). ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ იმ შემთხვევაში თუ საკონტრიბუციო კომისია მისცემს გერმანიას მორატორიუმს, საფრანგეთის სურვილის წინააღმდეგ პუანკარეს გადაწყვეტილი აქვს მოითხოვოს მოქმედების სრული თავისუფლება გერმანიის წინააღმდეგ განზრახულ რეპრესიულ ზომების გასატარებლად.

მორიგი გადასახადის შეტანა

ნაუენი. 16 აგვისტო (რადიო). 5 აგვისტოს ნოტაში აღნიშნულ დაპირების შესასრულებლად, გერმანიამ დღეს შეიტანა სავსებით 15 აგვისტოს მორიგი გადასახადი 500.000 გირ. სტერლინგის რაოდენობით. თუ მივიღებთ მხედველობაში მარკის უკანასკნელ კატასტროფიულ დაცემას, ეს ჯამი უდრის თითქმის 2 ნახ. მილიარდ ქაღალდის მარკას.

ამერიკა

ნაუენი. 16 აგვისტო (რადიო). რკინის გზელთა აღმასრულებელი კომიტეტი გაემგზავრა ვაშინგტონიდან იმ განზრახვით, რომ განაგრძონ რკინის გზელთა გაფიცვა.

იტალია.

გაფიცვა გრძელდება

ნაუენი. 16 აგვისტო (რადიო). იტალიაში საერთო გაფიცვა გრძელდება იმის გამო, რომ მთავრობის ახალი ზომები აღიარებულია მიუღებლად.

სენატში.

ბორდო. 16 აგვისტო (რადიო). სენატმა ნდობა გამოუცხადა მთავრობას.

გადასახადის გადიდება.

რომი. 16 აგვისტო (რადიო). ოფიციალური პრესაში გამოქვეყნებულია დეკრეტი იტალიაში დამუშავებულ შაქარზე გადასახადის გადიდების შესახებ, უმეტესად შემოტანილზე.

ლატვიაში

მოსკოვი. 16 აგვისტო (რადიო). ლატვიის პროფესიონალურ მუშაკთა დევნის გამო პროფინტერნმა გამოსთქვა მხურვალე პროტესტი და რწმენა, რომ ჩქარა მოეღება ბოლო მუშების დაცინვას.

ბალტიის ზღვის განაპირა სახელმწიფოების კავშირი.

მოსკოვი. 16 აგვისტო (რადიო). ლატვიის და ბალტიის ზღვის განაპირა რესპუბლიკების წარმომადგენლების კონფერენციაზე გამოთქმულ იქნა სურვილი ბალტიის ზღვის განაპირა სახელმწიფოების კავშირის დადების შესახებ, კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია მოაგვაროს პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი და გადადგას სათანადო ნაბიჯები ფინეთის მიმართ. პრემიერმა შეიმოვიცმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ლატვიის დიპლომატიის უახლოეს ამოცანას შეადგენს უცხოეთის სესხის აღების საკითხი.

მოსავალი ანატოლიაში.

სტამბოლი. გაზეთი „ტეფხიად-ევკიარი“ იტყობინება, რომ ანატოლიაში მოსავალი კარგია. კონიის, ადანის და სამსუნის რაიონებში პურის მოსავალმა 30 პროც. გადააჭარბა შარშანდელ მოსავალს.

საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე.

ბორდო. 16 აგვისტო (რადიო). ანგორიდან მიღებული ცნობებით დეინერის სექტორზე სწარმოებს უმნიშვნელო შეტაკება ბერძნები განაგრძობენ პროდუქტების დაწვას ედინის რაიონში.

დანიაში

დანიის პროფ. კავშირებში.

მოსკოვი. 16 აგვისტო (რადიო). შავ მუშათა პროფ. კავშირების ყრილობამ კოპენგაგენში გამოიტანა დადგენილება გამოვიდენ ფედერაციის შემადგენლობიდან, უკანასკნელის რეაქციონურ პოლიტიკით უკმაყოფილების გამო. ამით დაიდვა საფუძველი დანიის პროფ. კავშირებში განხეთქილებას.

ირლანდიაში

ჰანოვერი. 16 აგვისტო. (რადიო) ბელფასტიდან იუწყებიან, რომ კორკი ალყაშემორტყმულია მთავრობის ჯარების მიერ.

აღმოსავლეთში

ენვერ-ფაშის დამარცხება.

ჰანოვერი. 16 აგვისტო (რადიო). გაზეთი „რული“. რომელიც ბერლინში გამოდის, იტყობინება, რომ ენვერ-ფაშა სასტიკად დამარცხდა თურქესტანში და წითელი არმიის შიშით გაიქცა თურქესტანიდან და ბუხარიდან.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

სვანეთის საბჭოთა ყრილობის სალამი ცენტრალურ აღმასკომს.

დღემდის ყველასაგან მოძულებულ მშრომელი საქართველოს ერის ღვიძლი შვილი სვანეთი თავის პირველ საბჭოთა ყრილობაზე სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომს უძღვნის გულწრფელ და მხურვალე სალამს. დიდ მთაგრეხილებ შორის დასახლებული მთიელი ქართველნი მოწყვეტილნი კულტურას მისი გეოგრაფიული პირობების წყალობით, მიისწრაფის სრული ნდობით, ძმობით და ამხანაგური თანამშრომლობით დამსახურებას სრულიად საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის წინაშე. ისტორიულად თავისუფალი სვანეთისათვის სავსებით ჩვეულებრივი და ბუნებრივია დღევანდელი ხელისუფლება და შიგან შოლის სვანეთის მშრომელი ეკონომიურად და კულტურულად აღორძინებას. პირველ საბჭოთა ყრილობას სვანეთისას ღრმად სწამს, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობა არას დაზოგავს და არ დაიშურებს ამხანაგური ხელი გაუწოდოს და მთავარი ყურადღება მიაქციოს ამ ჩამორჩენილ კუთხეს საქართველოსას, რათა სვანეთი საბჭოთა აღმშენებლობითი საქმეში გვერდში ამოუდგეს მას. საბჭოთა ყრილობა ყველას გასაგონად აღიარებს, რომ სვანეთი გახდება საბჭოთა საქართველოს ერთ საყვარელ და საუკეთესო კუთხედ ეკონომიური უთანასწორობის მოსპობაში და თავისუფლების დაცვაში. კიდევ სალამი და გამარჯვება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასკომს და სახალხო კომისართა საბჭოს.

ყრილობის თავმჯდომარე **თენგიზ ულენტი.**

პრეზიდიუმის წევრები: **გ. ნიჟარაძე, აკ. მარგიანი, ნესტ. გარდაფხაძე, ალი დავითიანი.**

ბათუმის ნავთსადგურში

11 აგვისტოს წავიდა სტამბოლში ინგლისის გემი „ლედი ელინორ“ ი ნავთის პროდუქტების მნიშვნელოვანი ტვირთით, სულ 1650 ტონა (110,000 ფუთი) ნავთსადგურში კიდევ დგას ინგლისის მეორე გემი, რომელიც აგრეთვე წაიღებს ნავთის პროდუქტების დიდ ტვირთს: 600—700 ათას ფუთ.

შხუნა „გეროი“-ს შეკეთება

ბათუმის ნავთსადგურის შემკეთებელ სახელოსნოში ამ ჟამად სწარმოებს შხუნა „გეროი“-ს კაპიტალური შეკეთება (ტვირთზიდვა 9000 ფუთ.) რთული შეკეთება დამთავრდება მცირე ხნის განმავლობაში.

გორის მაზრა.

დახმარება წითელ არმიელებს.

გორის სამაზრო აღმასკომი ითვლება რკინის გზის № რაზმის შეფად და შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევს რაზმს საჩუქრების პერიოდულად გაგზავნით. გომის თემში რაზმს დაეთმო დამუშავებული მამული, სადაც წელს მოსალოდნელია კარგი მოსავალი. 10 აგვისტოს რაზმმა იდღესასწაულა თავისი არსებობის წლისთავი და დღესასწაულის დღეს, შეფმა აღმასკომმა თემების აღმასკომების დახმარებით გაუგზავნა თავის რაზმს შემდეგი საჩუქრები:

10 სული ცხვარი, ორი ფუთი ყველი, 40 ფ. ხორბალი, 10 ფ. ხილი, 24 ფ. ღვინო, 5 მილიონი ფული, 28 შეკვრა პაპიროსი, 11 პაპიროსის ქაღალდის წიგნაკი, 20 არშინი მანუფაქტურა, 8 კრუჟკა და 6 გირვანქა ტყავი ფეხსაცმლისათვის.

ქრონიკა

◆ **მისალმება ფილიპე მახარაძეს** სრულიად საქართველოს ფოსტა ტელეგრაფის, ტელეფონის და რადიოს მუშა მოსამსახურეთა მეორე ყრილობა, რომელიც გაიხსნა 4 აგვისტოს გიძღვნით ხზურვალე პროლეტარულ სალამს და გისურვებთ თქვენ, როგორც დღემდე, აგრეთვე შემდეგშიაც განაგრძოთ თქვენი დაუღალავი ენერგიული მუშაობა საერთაშორისო პროლეტარიატის საკეთილდღეოთ. აღნიშნული ყრილობა თქვენ როგორც რევოლიუციის ვეტერანებს და მშრომელ მასის ინტერესების დამცველი ვირჩევთ საპატიო თავმჯდომარეთ. გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას, გაუმარჯოს წითელ პროფინტერნს და რევოლიუციის შტაბს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს. ყრილობის პრეზიდიუმი.

ხელოვნება.

◆ **გვთხოვენ გამოვაცხადოთ.** დაიკარგა მეოთხე რაიკომიდან ნინა ბოლქვაძის სახელზე მიცემული პარტიული ბილეთი № 603 გაუქმებულად ჩაითვალოს.

◆ **ტერენტი გრანელის საღამო.** კვირას 20 აგვისტოს ხელოვანთა სასახლეში გაიმართება პოეტ ტერენტი გრანელის სალამო. სიტყვა: ტიციან ტაბიძის „უახლოესი პოეზია“

ლექსები: ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე, გრ. ცეცხლაძე, გრ. ზოდელი, ს. ერთაწმინდელი, გოგბრონ აგარელი, ვიქტორ გაბესკირია, რაულ გოგობრია, ტერენტი გრანელი წაიკითხავს ახალ პოემას „სიკვდილის შემდეგ.“

◆ **ვ. კურკოს კონცერტი.** პარასკევს 18 აგვისტოს საზაფხულო თეატრ არტოში შესდგება დიდი კონცერტი ბარიტონ ვ. კურკოს. კონცერტზე მონაწილეობას მიიღებს ტენორი ვ. ლიპეცკი.

◆ **მოსკოვის სამხატვრო თეატრის მე-2 სტუდიის გასტროლი.** ორშაბათს 21 აგვისტოს საზაფხულო თეატრ არტოში შესდგება საგასტროლო სპექტაკლი მოსკოვის სამხატვრო თეატრის მე 2 სტუდიისა. წარმოდგენილი იქნება პიესა „ნადომერიკ“.

◆ **ე. გელცერის გასტროლი.** დიდის სამხატვრო წარმატებით ჩატარდა ბათომში ე. გელცერის სამი საგასტროლო ბალეტის საღამო ტიხომიროვის, და კარპილოვსკის და ია. მაკაროვის მონაწილეობით. ბათომიდან მსახიობები მოსკოვში გაემგზავრნენ.

შეცდომათა გასწორება.

— 13 აგვისტოს „კომუნისტი“ ს № 185 მეორე გვერდის მესამე სვეტში სწერია „შრომის სახალხო კომისარიატში“ და მის ქვევით მუხლობრივათ ჩამოთვლილია ნამოქმედარი, რაც უნდა ჩაითვალოს შეცდომათ. შრომის სახალხო კომისარიატს ეკუთვნის მხოლოდ ორი მუხლი 1) კანონების გადასინჯვა და 2) მზადება მე-3 პერიოდისათვის, ხოლო დანარჩენი 3 მუხლი (შრომაზედ) ეკუთვნის გორის სამაზრო შრომის განყოფილების მოქმედებას.

დღეს თეატრებში

სახელმწიფო ოპერის თეატრი— მოსკოვის სამხატვრო თეატრის მე-2 სტუდიის საგასტროლო სპექტაკლი „უზორი იზ როზ“, რუსთაველის თეატრი.—გრანდიოზული სურათი ჯუნგლის საიდუმლოება მე-3 სერია, ქართული კლუბის საზაფხულო თეატრი—საღამო სპექტაკლი, საზაფხულო თეატრი არტო—ოპერის არტისტის ვ. კურკოს კონცერტი. სომხური კლუბის საზაფხ. თეატრი—სპექტაკლი - სეირნობა, საზაფხულო წრე—კონცერტი. მუშათა ცენტრ. კლუბი—საღამო სპექტაკლი. ახალი თეატრი ცენტ. მუშ. კლუბსა—კინო. თავისუფალი თეატრი—მე-5 ციკლი თეატრ ნილაბას პროგრამისა. მუშტაიდის თეატრი — სპექტაკლი სეირნობა. თეატრი ამირანი—კონცერტი-კაბარე. პროფ. კავშირთა კლუბი.—კონცერტი. ცირკი—მრავალფეროვანი პროგრამა.

ბრძოლა სიმშილობასთან

საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარეს.

ოზურგეთი.

(დეპეშა).

მიუხედავათ ითქვენი უხვი დახმარებისა მდგომარეობა მაინც კრიტიკულია. ხალხი თხოვს ერთხელ და უკანასკნელად კიდევ დახმარებას, რისი იმედი მათ აქვთ.

მგალობლიშვილი.

დახმარება დამშეულებს.

გორის სამაზრო დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა 1 ივლისიდან დღემდე მიიღო ამერიკულ დამხმარე კომიტეტიდან 4.646 ფ. 15 გირ. კრუპა („გრიცა“), რომელიც განაწილდა თემებში ამ რიგად: თქიავის—227 ფ. მეჯვრისხევის თემს—200 ფ., ზგუდერის—500, ქარელის—100 ფ., ხიდისთავის—159 ფ. 10 გირ., კავთისხევის—200 ფ., ქვემო ჭალის—300 ფ., ახალქალაქის—300 ფ., გორის—1,192 ფ 5 გირ. სულ 3.538 ფ., 15 გირ. დარჩა დასარიგებლად 1.408 ფუთი.

ტფილისის ქალაქის საბჭოს პლენუმი

(16 აგვისტოს სხდომა)

16 აგვისტოს საღამოს შესდგა ქალაქის აღმასკომის პლენუმის სხდომა ამხ. **ი. წივწივაძის** თავმჯდომარეობით.

ქალაქის აღმასკომის მუშაობის გეგმა

(ამხ. ღლონტის მოხსენება)

მოხსენება შეიცავს დეტალურად გამორკვეულ თეორეტიულ ნაწილს, რომელსაც დეკლარატიული ხასიათი აქვს, და შემდეგ თვით პროგრამას წლის მე 2 ნახევარში მუშაობისა. პროექტის მოსმენის შემდეგ აღმასკომმა დაადგინა პრინციპიალურად მოიწონოს მისი ძირითადი დებულება დ მისი სარედაქციო დამუშავება მიანდოს კომისიას ამხ. ღლონტის, სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ქავთარაძის და ამხ. კახიანის შემადგენლობით.

ქალაქის აღმასკომის ხარჯთ-აღრიცხვა

(ამხ. წივწივაძის მოხსენება)

ქალაქის აღმასკომის ყველა განყოფილებები უნდა გავყოთ ორ ჯგუფად: 1) რომელიც იძლევა ამა თუ იმ შემოსავალს ე. ი. საწარმოო განყოფილებანი, და 2) სრულიად უშემოსავლო, როგორიცაა მაგ. სახ. განათლების განყოფილება, ქალ. ჯანმრთელობის განყოფილება, სტატისტიკური, საალმშენებლო და სხვა განყოფილებანი. თუმცა პირველი ჯგუფი გვაძლევს შემოსავალს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ეს დაწესებულება უდეფიციტოა. ზოგიერთი მათგანი ათავებენ წელს დიდი დეფიციტით.

შემოსავლიან დაწესებულებებს არ შეუძლიათ თავიანთი გადანარჩენი შემოიტანონ ქალაქის აღმასკომის სალაროში, ვინაიდან ყველა დაწესებულებანი მუშაობენ ძირითადი კაპიტალის უქონლობით, ინვენტარი გაფუჭებულია, არ არის საზრუნავი თანხა და სხვ. ამიტომ ყოველი გადარჩენი ხმარდება წარმოების აღდგენას.

წარსულ თვეების გამოცდილებაზე დაყრდნობით შედგენილია ხარჯთ აღრიცხვა, რომელშიც არ შედის მასწავლებლების და მილიციის ვალები. ხარჯთ - აღრიცხვა დამთავრებულია დიდი დეფიციტით. შემოსავლის ხარჯთ აღრიცხვა ნაანგარიშევია 218 მილიარდი, საიდანაც ტრახტირის გადასახადი, სავაჭრო გადასახადი და სხვ. ნავარაუდევია 10 მილიარდი მანეთი, აქტების გადასახადი—1,1 მილიარდი მან., —შემოსავალი კომუნალურ მეურნეობისაგან 116 მილიარდი მან. და სხვა. გასავალი გამოიხატება 257.905 მილიარდი მანეთით ე. ი. დეფიციტია 39 მილ. მანეთი. გასავალის ხარჯთ-აღრიცხვა იყოფა შემდეგ ნაწილებათ:

შინაგან მმართველობას	27	მილიარ. მ.
სახალხო განათლებას	36	„
ქალ ჯანმრთელობას	38	„
კომუნალურ მეურნეობას	146	„
საადმინისტრაციო განყოფილებას	7	„
ვალებისა და ფროცენტების დაფარვა	3	„
გიდრო-ელექტრონის სამუშაო	7,7	„

ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს ყველა განყოფილებებს დაევალათ რაც შეიძლება შეამცირონ თავიანთი გასავალი, მაგრამ საუბედუროდ ელექტრონის საალმშენებლო მმართველობის და წყალსადენის შეუკეთებლად დატოვება შეუძლებელია, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გაჩერება მოელით.

წინად სახ. განათლებაზე მიდიოდა 3 მილ. მანეთი. ამის გარდა ამ დღეებში სახ. კომისართა საბჭომ მილიციის შენახვა დააკისრა ქალ. აღმასკომს, რაც მძიმე ბარგად დააწვა უკანასკნელს.

იმისათვის, რომ ხარჯთ აღრიცხვის გასავალი სავსებით დაფაროს შემოსავალმა, ამიაათვის საჭიროა მთელი რიგი ღონის ძიებათა, რომელთა დამტკიცებას მომხსენებელი მოითხოვს აღმასკომისაგან.

მოხსენებამ გამოიწვია ხანგრძლივი და გაცხოველებული კამათი; სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ქავთარაძემ თავის სიტყვაში დაწვრილებით დაასურათა სახელმწიფო კასის მდგომარეობა და განაცხადა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია მიიღოს თავის თავზე ქალაქის აღმასკომის დეფიციტი სავსებით, მაგრამ ამა თუ იმ შემთხვევაში შეუძლია აღმოუჩინოს ერთდროული დახმარება. კომისიის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. წივწივაძის მოხსენება ქალაქის აღმასკომის 1922 წლის მეორე ნახევრის ხარჯთ-აღრიცხვის ახალი ღონისძიების შესახებ და მიიღო მხედველობაში ქალაქის მძიმე ფინანსიური მდგომარეობა, აღმოსკომი ადგენს სავალდებულო შესრულებისათვის შემდეგს:

1. დაუყონებლივ წინადადება მიეცეს ყველა დაწესებულებებს აანაზღაურონ ყველა კომუნალური სამსახური.

2. გადაეცეს ქალაქის აღმასკომს ყველა მუნიციპალური ხასიათის სავაჭრო-სამრეწველო შენობები ისე, რომ ყველა დაწესებულებები როგორც სამოქალაქო ისე სამხედრო იხდიდნენ ამ შენობის ქირას საერთო საფუძველზე.

3. გაადიდონ საიჯარო განაკვეთები ნორმალურ რაოდენობამდე და დააჩქარონ სასკოლო და სანიტარული გადასახადების შემოღება.

4. ეთხოვოს სახალხო კომისართა საბჭოს 6 თვის ვადით გაიღოს მილიციის ბიუჯეტის 50 პროცენტი.

5. გადაეცეს 1922 წლის მეორე ნახევრის ხარჯთ-აღრიცხვა საფინანსო განყოფილებას განსახილველად, დეტალურად შესამუშავებლად და აღმასკომისათვის წარსადგენად დამტკიცებისათვის“.

საფინანსო განყოფილების წარმომადგენელი პრეზიდიუმში.

ამხ. წივწივაძე აღნიშნავს, რომ პრეზიდიუმის არჩევნების დროს დავიწყებული იქნა მის შემადგენლობაში საფინანსო განყოფილების წარმომადგენლის შეყვანა, ამავე დროს პრეზიდიუმს თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე უხდება საფინანსო განყოფილების აზრის გაზიარება, რისთვისაც პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა შეავსონ პრეზიდიუმის შემადგენლობა საფინანსო განყოფილების წარმომადგენელით და როგორც ასეთს ასახელებს ამხ. ღლონტს. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

ეკონომიური ცხოვრება

სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობა საქართველოში

(1921 წლის ზაფხულსა და შემოდგომის განმავლობაში.)

კლიმატიური პირობები, როგორც წარსული წლის გაზაფხულზე ისე ზაფხულსა და შემოდგომაზეც იყო მეტად არა ხელსაყრელი სასოფლო მეურნეობისათვის. მთელი წლის განმავლობაში ცუდი ამინდი ხელს უშლიდა როგორც სასოფლო-სამეურნეო მუშაობას, ისე მცენარეების ზრდა განვითარებას. ეს იყო უმთავრესი მიზეზები იმ სიმშილის რომელიც თავს დაატყდა მთელ ქართველ მოსახლეობას.

ცენტ. სტატ. სამ. საანკეტო გამოკვლევის ჩვენებათა 66 პროც. ზაფხულის განმავლობაში და 51 პროც. შემოდგომის განმავლობაში ნათლად ამტკიცებს, რომ ამინდი იყო ცუდი. ეს გამოიხატებოდა საშინელ გვალვებში, გაზაფხულიდან დაწყებული ვიდრე შემოდგომამდე, შემოდგომაზედ კი საშინელმა ავდრებმა და ნიაღვრებმა ხელი შეუშალა მოსვლის აკრება-დაბინავებას.

ვინაიდან საქართველოში მოსავლის ბედი სავსებით დამოკიდებულია ამინდზე 1921 წლის მოსავალი ყოველ მხრივ უნდა ჩაითვალოს ძალიან ნაკლებად. განვიხილოთ ცალ-ცალკე ყოველი დარგი სასოფლო მეურნეობისა.

მემინდვრეობა. როგორც ყველას მოეხსენება, ხვნა-თესვას საქართველოს ტერიტორიაზე, მცირეოდენის გამოკლებით, პირველი ადგილი უჭირავს და ხალხის უმთავრეს სა-

ცხოვრებელ წყაროსაც ჯერ ჯერობით მაინც ხორბლეულობის მოყვანა შეადგენს.

როგორც ც. ს. ს. მიერ მოხდენილ გაზაფხულის გამოკვლევიდან სჩანს ჯერ კიდევ თესვის (გაზაფხულის ხორბლეულობის) დროს გვალვამ მეტად ხელი შეუშალა მუშაობას. მიწა გახმა, ნორჩი ჯეჯილი დაიწვა, ზაფხულში გვალვისვე გამო პური და ქერი მალე შემოვიდა, არ განვითარდა რიგიანად. მარცვალი დაუსრულებელი დარჩა, რის გამოც მცირე გამოსავალი ჰქონდა. სიმინდს შემოდგომაზე უსწრო დაუსრულებელმა წვიმებმა, მარცვალმა ვერ მოასწრო დასრულება და მცხოვრებლები იძულებული იყვნენ მოეტეხათ დაუმწიფებელი და რბილი სიმინდი, რომელიც დასაფქვავად ხშირად ცეცხლზე გაშრობის შემდეგ ვარგოდა. თვით სიმინდის მოჭრა-მოტეხა ძალიან გაძნელებული იყო წვიმისა და ტალახების გამო.

ამ რიგად უმთავრესი ზიანი ნათესებს მიაყენა გვალვამ და წვიმამ, იყო შემთხვევები სეტყვისა, ზოგ ადგილას ნათესები დააზიანა ქარმა, ნიაღვარმა და ნისლმა.

ყოველივე ამის გამო მოსავალი ამ წელს ძალიან მცირე იყო ნორმალურთან შედარებით. უმთავრეს პურეულის: პურის, სიმინდის და ქერის მოსავალი უდრიდა:

აღმოსავლეთ საქართველოში 9,843,9 ათას ფუთს, დასავლეთ საქართველოში—11,843 ათას ფუთს, მთელ საქართველოში—21,686,9 ათას ფუთს.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ნორმალურ წლებში საშუალო მოსავალი საქართველოში უდრიდა 34,498,5 ათას ფუთს, აღნიშნულ წელს მოსავალი ყოფილა 12811,6 ათასი ფუთით ნაკლები რაც შეადგენს 37,1 პროც. თუ მხედველობაში მივიღებთ მეორე ხარისხოვან ხორბლეულსაც როგორიც არიან ღომი, ჭვავი, ფეტვი და სხვ. 1921 წ. მთელი მოსავალი უდრის 22004 ათას ფუთს.

საქართველოს მოსახლეობას კი როგორც სოფლის ისე ქალაქის, გამოსაკვებად სჭირდება (თითოზე 15 და 12 ფუთის ანგარიში) 31.632 ათასი ფუთი, თესლისათვის 4186 ათასი ფუთი. სულ 35818 ათ ფ. ამ რიგად ირკვევა, რომ 1921 წელს მცხოვრებლებს დააკლდათ 13,814 ათასი ფუდი, რაც შეადგენს 38,6 პროც., აი ეს 13 მილიონი 800,000 ფუთი იყო საჭირო სიმშილის ასაცდენათ.

მევენახეობა და მეღვინეობა საერთოდ საქართველოში შეადგენს დამატებით დარგს მეურნეობისას; ზოგიერთ რაიონებში კი როგორც არის თელავის მაზრა, სიღნაღის მაზრის გურჯაანის რაიონი, მევენახეობას აქვს უმთავრესი მნიშვნელობა. დასავლეთ საქართველოში ქუთაისის და შორაპნის მაზრებში სვირის და ბაღდადის რაიონებში მევენახეობას დიდი მნიშვნელობა აქვს. 1921 წლისთვის ვენახების სივრცე დარჩა უცვლელად მშრალმა გაზაფხულმა და ცხელმა ზაფხულმა, როგორც ეტყობა ხელი შეუწყო ვაზის ზრდის განვითარებას, ყურძენი კარგად დამწიფდა, ძალიან კარგადაც ესხა, რის გამოც 21 წლის მოსავალი სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო. ვენახებს ოდნავ ზიანი მიაყენა გამუდმებულმა გვალვამ, ექვს ადგილას ვაზი დააზიანა სეტყვამ. მავნებლებიდგან ვაზზე უმთავრესად გავრცელებული ყოფილა ობი და ნაცარი, კახეთში ვაზს საგრძნობ ზიანს აყენებდა აგრეთვე ფილაქსერა, უმეტეს შემთხვევაში მავნებლებთან ბრძოლა სწარმოებდა ვაზის მოწამლის სახით, მაგრამ მნიშვნელოვანი მევენახეთა სხვა და სხვა მიზეზების გამო ვაზს არ სწამლავდა.

რთველი დაიწყო და დამთავრდა თავის დროზე, მოსავლის ხარისხი იყო საშუალოზედ კარგი (3.63) ბალით და ერთ დესეტინაზე საშუალოდ გამოდიოდა 200 ფ. ყურძენი, 230 ვედრო ღვინო. უკანასკნელ წლებში ახალი ვენახების გაშენება შემჩნეულია დასავლეთ საქართველოში—კახეთში ყოფილა შემთხვევები ვენახების გაჩეხისა თუმც უმნიშვნელო.

მეხილეობაც საქართველოში დამატებით დარგს შეადგენს, უმთავრესად გავრცელებულია გორის მაზრაში სადაც სულ 3—4 ათეული წელიწადია, რაც ხელი მიჰყვეს ბაღების გაშენებას და ამ უკანასკნელ დროს ხსენებულ მაზრის ბევრ ადგილებში პირველი ადგილიც კი დაიჭირა და მიიღო სამრეწველო ხასიათი.

ბაღებში ხილი ჩარიგებულია შახმატურის წესით და მცხოვრებლები დიდის ხალისით უვლიან, აქ ამ მაზრაში უმთავრესად გავრცელებულია ვაშლისა და მსხალის კულტურა. მეხილეობას მისდევენ აგრეთვე ახალციხის მაზრაში. დასავლეთ საქართველოში უმთავრესად გავრცელებულია კურკოვანი ხილის ხეები, ბალი, ალუბალი სხვა და სხვა ქლიავები, ყოველივე ეს ადრე შემოდის და გაზაფხულისათვის ნაადრევად გააქვთ თბილისის და სხვა ბაზრებზედ. ამ უკანასკნელ 20—21 წლების განმავლობაში ბაზრის უქონლობამ მეხილეები ძალიან დაალონა. ერთად ერთი ხილის გასასაღებელი ადგილი ეს თბილისია, თბილისში ყოველის მხრიდან შემოდის ხილი. მისი ფასი ძალიან დაცემულია და ხშირად რკინის გზის ხარჯებს, რომელიც ძალიან აწეულია, ვერა ჰფარავს. ამ გარემოებამ მეხილეობის განვითარება ძალიან შეაფერხა და გახშირდა შემთხვევები ბაღების გაჩეხისა. მიუხედავათ ამისა, ცენტრალური სტატისტიკური სამართველოს მიერ საანკეტო გამოკვლევის მიხედვით, ახალად გაშენებული ბაღების ხარჯზე ხილის ბაღების სივრცე უცვლელად დარჩენილა.

ზაფხულის განმავლობაში ხილის ბაღები საგრძნობლად დააზიანა გვალვამ, ხშირად ქარმა. იყო შემთხვევები სეტყვისგან დაზიანებისაც.

ხილის ხეებზე მავნებლებიდან გავრცელებული ყოფილა სისხლიანი მატლი, ირემა და ხილის ობი, ხსენებულ მავნებლებს ხილისთვის ბევრ ადგილას შესაჩნევი ზიანი მიუყენებიათ. ბრძოლა მავნებლების წინააღმდეგ უმეტეს შემთხვევებში არა სწარმოებდა საწამლი მასალის უქონლობის გამო.

ხილის მოსავლის ხარისხის ხსენებულ 21 წელს ხუთ ბალიანის სისტემის მიხედვით განაწილდება შემდეგ ნაირად:

ვაშლი 2,40, მსხალი 2,40, ატამი 2,75, ქლიავი 2,50, კომში (ბია) 1,94, ნიგოზი (კაკალი) 4,5.

ამ რიგად კარგი მოსავალი ყოფილა მხოლოდ კაკლის, დანარჩენი ხილის მოსავალი მდარეა. ერთ მიზეზთაგანიც ის არის რომ სიძვირის გამო ბაღის პატრონებმა ამ წელს ვერ მოუარეს ბაღებს, ვერ შეაკეთეს ღობები, ვერ შეძლეს დაბარვა გაპატიება და სხვა.

მებოსტნეობას სამრეწველო ხასიათი აქვს მხოლოდ ქალაქებთან და რკინის გზის ლიანდაგებთან ახლო მდებარე ადგილებში, საერთოდ კი ამ დარგის მისდევენ მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის.

1921 წელს ბოსტნების სივრცე დარჩენილა უცვლელად. დათესილი ყოფილა უმთავრესად კარტოფილი, ლობიო, კომბოსტო, გოგრა (კვახი, ხაპი) შემდეგ პამიდორი, მუხუდო, ცერცვი, ხოლა. კლიმატიური პირობების მიხედვით ბოსტნეულობა უმთავრესად დაზარალებულა გვალვისგან. მავნებლებიდან უმთავრესად გავრცელებული ყოფილა ბოსტანა და კომბოსტის ჭია, დაზარალებულია საგრძნობლად კომბოსტო და ლობიო.

ხარისხის მოსავლის შემდეგნაირად ნაწილდება:

კარტოფილი 2,5, კომბოსტო 2,20, ლობიო 2, მუხუდო 1,7, სოია 2,5, ჭარხალი 2,3, გოგრა 2,2.

დანარჩენ დარგებს სახ. მეურნეობისას, როგორც არის მეთამბაქოობა, მებამბეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა აქვთ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა და ხალხი მისდევს უფრო საკუთარი საჭიროებისათვის. მეაბრეშუმეობას ქუთაისის ზოგიერთ თემებში აქვს სამრეწველო ხასიათი საერთოდ ყველა ჩამოთვლილი კულტურების მოსავლის ხარისხი 5-თ ბალიანი სისტემის მიხედვით შემდეგი ბალებით განისაზღვრება:

თამბაქოს 2,15, თივის 2,58, ბამბის 1,27, თაფლის 2,33, პარკი 2,29.

მესაქონლეობა გავრცელებულია იმდენად, რამდენადაც ეს დაკავშირებულია ხვნა თესვასთან. ზოგიერთ მაზრების მთიან ადგილებში მისდევენ საქონლის მოშენებას სამრეწველო მიზნითაც, მეტადრე თხა ცხვრის. ამ მშიერ 1921 წელს საკვების უქონლობის გამო ბევრი მეურნე, იძულებული იყო გაეყიდნა, ხშირად მუშა საქონელი და ძროხებიც კი რის გამოც საქონლის რიცხვი შემცირდა.

მავნებლებიდან საქონელზე ყოფილა გავრცელებული, ჭირი ციმბირის სენი ქეცი, ბრძოლა თითქმის არ სწარმოებდა. საქონლის შენახვის პირობები ზაფხულში ყოფილა საშუალო 2,85.

ამ რიგად 1921 წლის განმავლობაში სასოფლო მეურნეობისათვის მძიმე დაღი დაუსვამს კლიმატიურ პირობებს. როგორც ვხედავთ გვალვა და მისგან მიყენებული ზარალი, წითელი ზოლი მისდევს ყველა კულტურებს, გვალვა და სხვა იყო მიზეზი შიმშილის, რომელმაც გაჭირვებაში ჩააგრო მთელი მშრომელი ხალხი.

ელ. მახაბელი.

ბათომის ნავთსადგურში

2 აგვისტოს ნავთსადგურში შემოვიდა; სტამბოლიდან იტალიის ფლაგით გემი „პერსია“ 62.000 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით; სოხუმიდან, რიზედან, არხავედან, ქობულეთიდან და კორსუმიდან 4 ოსმალეთის მოტორი ტვირთით და ორი ფელიუგი. 3 აგვისტოს სტამბოლიდან მოვიდა ინგლისის ფლაგით გემი „ედვინ“-ი 55,000 ფუთ. სხვა და სხვა ტვირთით; სოხუმიდან—საბჭოთა საქართველოს ფლაგით მოტორი 156 ფ. ტვირთი და 8 მგზავრით. 4 აგვისტოს სოხუმიდან-მაპავრადან და სურმენედან მოვიდა ორი მოტორი (ოსმალეთი და იტალიის) და ერთი ფელუგა. 5 აგვისტოს ტრაპიზონიდან—იტალიის ფლაგით გემი „ჩელიო“ 7000 ფუთ. სხვა და სხვა ტვირთით. ნოვოროსიისკიდან—„აჭარისტანი“ 316 ფ. სხვა და სხვა ტვირთით და 102 მგზავრით. სოჩიდან და სოხუმიდან 4 მოტორი 3762 ფ. შაქრით, 250 ფ. სხვა და სხვა ტვირთით და 24 მგზავრით. 6 აგვისტოს ადესიდან—ამერიკის ფლაგით გემი „სოუგუს“-ი 42594 ფ. სხვა და სხვა ტვირთით. 2 აგვისტოს ნავთსადგურიდან წავიდა სტამბოლში ჩინეთის ფლაგით გემი „ჟანნა“ უტვირთოთ 75 მგზავრით; სოხუმში—საბჭოთა რუსეთის ფლაგით კატერი „მოსკვიჩკა“, 3 აგვისტოს ქობულეთში და ფოთში—ერთი ფილიუგა და ერთი მოტორი (საქართ.) 814 ფ. სხვა და სხვა ტვირთით. 4 აგვისტოს სოხუმში, ტრაპიზონში, იალტაში, და სტამბოლში წავიდა სამი მოტორი, 3 ფელიუგა და 1 იალქნიანი ხომალდი 1384 ფ. სხვა და სხვა ტვირთით; სტამბოლში—იტალიის მოტორი „ენტრიკეტა“. 5 აგვისტოს სოხუმში წავიდა გემი „ილიჩ“-ი 1600 ფ. სხვა და სხვა ტვირთით და 120 მგზავრით. ხოფაში, ტუაპსეში, სოხუმში და ტრაპიზონში—3 მოტორი და 2 ფელიუგა 900 ფ. სხვა და სხვა ტვირთით და 15 მგზავრით. 6 აგვისტოს რიზეში, ფოთში, სოხუმში და ტრაპიზონში წავიდა 4 მოტორი და 1 კატერი 800 ფ. ნავთით, 15 ფ. მანუფაქტურით, 65 ფ. სხვა და სხვა ტვირთით და სამი მგზავრით.

გამასწორებელი სახლი № 1

ამას წინათ გაზეთში მოთავსებული იყო № 1 გამასწორებელ სახლის შესახებ პატარა წერილი სადაც მოყვანილი იყო თუ როგორ პირობებში უხდებათ მოსამსახურეთ სამსახური და როგორ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიან, მაგრამ მათ შესახებ არავინ არაფერს არ ამბობს. ხელფასი მეტად მცირეა და ისიც თავის დროზე არ რიგდება. აღსანიშნავია სხვათა შორის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა პატიმართა შორის, აქ არსებობს პატიმართათვის სამკითხველო, სადაც დაახლოვებით ინახება ათას ორასი წიგნი რომლითაც პატიმარნი სარგებლობენ, არის სხვადასხვა სახელოსნოები. როგორც მაგ. სადურგლო, სამჭედლო, სამკერვალო, ფეხსაცმელების სამკერვალო და სხვა, რომელშიდაც მუშაობენ თვით პატიმარნი ხელფასით. აგრეთვე არის თეატრი, რომელშიდაც წარმოდგენები სისტემატიურათ იდგმება უფასოთ კვირაში ორჯერ ყოველ ენებზე. იმართება მოხსენებები ლექციები და სხვა.

ამას გარდა ყურადღება მისაქცევია იქაური სკოლაზე, რომელშიაც ასწავლიან სრულიად წერა კითხვის უცოდინართ, სადაც იქაური საპატიმროს უფროსის ამხ. ა. ცვარიანის განკარგულებით არც ერთ პატიმარს არ ანთავისუფლებენ მანამ სანამ ის არ შეისწავლის წერა-კითხვას. ასე რომ გამასწორებელი სახლი მართლა რომ ასწორებს ადამიანს, ყოველივე ამის სათავეში სდგას ამხ. ა. ცვარიანი რომლის ენერგიული მუშაობით საქმე თავ-თავის კალაპოტში სდგას და სასურველ ნიადაგზეა დაყენებული.

ვ. კალმახი.

პროვინციაში

გორი.

შაბათს, 12 აგვისტოს გორის საზაფხულო თეატრში პოლიტ განათლების მიერ საქველმოქმედო მიზნით გამართულ იქნა პირველი საბავშვო საღამო ა. ს. ხახანოვის ხელმძღვანელობით. მიუხედავათ მრავალ ტეხნიკურ დაბრკოლებითა, რაიც უმთავრესად გამოიხატება სცენის სიღარიბესა და მოუწყობლობაში, საღამო მაინც საინტერესოდ და დამაკმაყოფილებლათ ჩატარდა.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გორის მოზარდი ახალგაზრდობა, სულიერ საზრდოს და საღ ხელმძღვანელობას მოკლებული, როგორც ირკვეოდა იმ საღამოს, მეტად დაინტერესებულია და მიილტვის ცოდნა-განვითარების შეძენისაკენ—კულტურულ გასართობებისაკენ, მაგრამ სამწუხაროთ მას არა ჰყავს მუდმივი გამოცდილი ხელმძღვანელი, რომ აღზარდოს ისინი, გაალვივოს მათში ფაქიზი გრძნობები, სიყვარული სწავლისა და სცენისადმი.

პირველი ნაბიჯი ამ მხრივ ამხ. ხახანოვის ეკუთვნის. მან, როგორც დაინტერესებულმა მოაშოროს ქუჩას მოზარდი ახალგაზრდობა და შემოჰკრიბოს ისინი ტეატრებში, საბავშვო სახლებში და სხვა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებებში, გამართა პირველი საღამო და მიუხედავათ ხსენებულ დაბრკოლებათა, საღამო მაინც დამაკმაყოფილებლათ ჩატარდა.

პოლიტ-განათლების განყოფილება და საღამოს მომწყობი კომისია უღრმეს მადლობას უძღვნის ამხ. ხახანოვის დაუღალავ მუშაობისა და მონდომებისათვის. განყოფილება იმედს გამოსთქვამს, რომ ისე, როგორც ამხ. ხახანოვა, ამ დარგში მცოდნე პირები დაეხმარებიან განათლების და ქალთა განყოფილებას მოზარდ ახალგაზრდობის ნათელ და ჭეშმარიტ-გზაზე დაყენების, მათი აღზრდის და განვითარების საქმეში.

ხ. მ.

სარედაქციო კოლეგია.

სექტემბრის და იანვრის გამოცდებზე

მათემატიკაში, ენებში და სხვა საგნებში, ამზადებენ სასწრაფოთ ტეხნიკუმის 1, 2, 3, 4 კლასში შესასვლელად. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის ქუთხე № 25 და 5. ნახვა 9—12. 3—7.

P. S. აქვე იყიდება. როიალი იაფად. (252—3—1)

იყიდება

სამ ოთახიანი სახლი,

107 ოთხ-კუთხი საჟ. ცალკე ეზოთი, სამზარეულოთი და სარაიით. სახლი დაეცლება მყიდველს დაუყონებლივ. მატინოვის ქუჩა, სახლი № 8.

(253—1—1)

ქალ. ტფილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, 21 აგვისტოს დღის 12 საათზედ აღმასკომის დარბაზში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სასწორზედ, მდებარე მაღაზნის მოედანზედ. პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროში მე-10 ოთახში საიჯარო მაგიდის გამგესთან მ. დარახველიძესთან.

2—1

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

(25—15)

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიეცემა პასუხისგებაში. (0—3)

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 20 აგვისტოს ამა წლის 12 საათზე სამმართველოს შენობაში დანიშნულია შეჯიბრება ბუფეტების, ვაგონ-რესტორანის, სავაჭრო ფარდულების და საპირფარეშოების იჯარით გაცემაზე შემდეგ სადგურებზე:

ბუფეტები სადგურზე: შორაპანი, ინჩხას და ზესტაფონში (I და II კლ.) ვაგონ-რესტორანი № 16, მიმომსვლელი მატარებლებით № 5 და 6 ბაქო—ბათუმს შუა.

სავაჭრო ფარდული: სადგურ ამამლოში.

საპირფარეშოები: სადგურებ—ხაჩმას და სადახლოში.

განცხადებები, სალერბო გადასახადით განაღდებულნი 10.000 მ. რაოდენობით, უნდა შეტანილ იქნან დახურულ კონვერტებში წარწერით: ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს საბჭოში ოც აგვისტოს შეჯიბრებისათვის. განცხადებას უნდა დაერთოს კვიტანციები საწინდარის შეტანის შესახებ რაოდენობით: ბუფეტებისა და რესტორანისათვის 1.000.000. მან., სავაჭრო ფარდულებისათვის 200.000 მან. და საპირფარეშოებისათვის—100.000 მან.

დაწვრილებით ცნობების გაგება შეჯიბრების შესახებ შეიძლება ეკონომიურ დარგის კომერციულ ნაწილში მუდამ დღიურათ 10 საათიდან 2 საათამდე დღისა, კვირა უქმეების გარდა.

(157—4—2)

დაიკარგე

მოწმობა მე-14 ტეხნიკუმის 1922 წ. 6 აგვისტოს ნინო გიორგის ასული მათიაშვილის სახელზე (250—3—2)

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

გაფრთხილება: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე აგვისტოს ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება, (0—23)

ტფილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი

აცხადებს წყალსადენის აბონენტების (სახლის პატრონთა, მათ მოადგილეთა, კომენდანტების და სახლების კოლექტიურ მმართველობათა) საყურადღებოთ, რომ **ნება დართულია წყალსაზომის (водомер)** შეკეთება კერძო სახელოსნოებში თავის ხარჯზე, შემდეგი პირობის დაცვით:

1. აბონენტი აძლევს წყალსადენის კანცელარიაში განცხადებას, თავის ხარჯზე წყალსაზომის შეკეთების სურვილის შესახებ.
2. შეაქვს წყალსადენის კასაში იმ მასალის და მუშაობის საფასური, (ტარიფის მიხედვით) რომელიც საჭიროა მოხსნილ წყალსაზომის მაგიერ სახლის წყალსადენის შესაერთებლად.
3. წყალსადენის სახელოსნო დანიშნულ დღეს იოხსნის აბონენტის წყალსაზომს და ჩააბარებს უკანასკნელს სახელოსნოს საწყობში ხელწერილის ჩამორთმევით.
4) შეკეთების შემდეგ წყალსაზომი უნდა იქნეს წარდგენილი სახელოსნოში მის საბოლოო შესამოწმებლად.
5) იმ შემთხვევაში თუ წყალსაზომი სავსებით შეკეთებულია, იგი შემოწმების შემდეგ დაიდგმება უფასოდ, სამუშაო ქირის გამოკლებით 2 მუხ. თანახმად, ხოლო იმ შემთხვევაში თუ წყალსაზომი რიგიანად არ არის შეკეთებული, აბონენტმა უნდა შეიტანოს წყალსადენის კასაში შემოწმების და წყალსაზომის დადგმის საფასური.
6) ამ წყალსაზომების შემოწმება აუცილებლად უნდა მოხდეს წყალსადენის წარმომადგენლის და აბონენტის თანდასწრებით.
7. დახარჯული წყლის აღრიცხვა აუცილებლად უნდა სწარმოებდეს წყალსაზომის საშუალებით მისი სავსებით შეკეთების და დადგმის შემდეგ.

კომუნალურ განყოფილების გამგე **ბაქრაძე.**

2—2

ამ წლის 10 სექტემბერს

იხსნება

ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატის პროფ. განათლ. მთავ. მმართველობის გამგებლობაში მყოფი

ქართული საბუღალტრო კურსები გიორგი მუმლაძის

მსმენელთა ჩაწერა შეიძლება დღეიდანვე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კურსების გამგესთან ყოველ დღე:

1. საქართველოს კოოპერატიულ ბანკში—თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 11. დღის 10—12 საათამდე.
2. თბილისი, წყნეთის ქ. № 29, საღამოს 5—6 საათამდე.

(140—3—2).

ბინით სარგებლობის კანონი

გამოცემულია ცალკე ბროშიურებათ და ამ დღეებში გაიყიდება ყველა უკანასკნელი, ამ ჟამად მომქმედი დეკრეტები და დადგენილებანი საბინაო საკითხის შესახებ, აგრეთვე დადგენილება

კომუნალურ სამსახურზე.

ქირის შემოღების შესახებ.

ბინით სარგებლობის კანონი გაიყიდება გაზეთის ტრესტის კანტორა-(რუსთაველის პრ. № 24). და ყველა გაზეთის გამყიდველებთა.

თითო ეკზემპლიარი ეღირება 20 ათასი მანეთი.

(0—15)

ღვინის სარდაფი

ქირავდება

რუსთველის პროსპექტის და ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში.

პირობების გაგება იქავე მუშათა და გლეხთა ინსპექციის სამეურნეო ნაწილის გამგესთან. (163—0—1)

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის საქმეთა მმართველობა ამით აცხადებს,

რომ ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა რკინის გზების სამმართველოსაგან მიღებულია ამიერ-კავკასიის ფედერაციის რკინის გზებზე უფასოდ მგზავრობის მოწმობები სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ყველა წევრებისათვის, გარდა იმათისა, ვისაც უკვე აქვთ მიღებული ასეთი ბილეთები სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისაგან.

ვთხოვთ ყველა წევრებს ან თვით, ან თავიანთი რწმუნებულების საშუალებით მიიღონ ეს მოწმობები სრულ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის საქმეთა მმართველებაში (სახალხო ოთახი № 6).

(144—4—4)

ამონაწერი

ქალ. აღმასრულებელი კომიტეტის ვერის ბორანისათვის შემუშავებულ კონდიციიდან.

11. ქალ. აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით კონდიციის ძალით ვერის ბორანის მოიჯარადრე გამსვლელთ ახდევინებს 5.000 მანეთს გასვლა-გამოსვლაში.

12. მოიჯარადრე ვალდებულია განთავისუფლოს გადასახადისაგან მილიციონერი, წითელ არმიელებიდან კი მარტო ჯარის-კაცები.

1) **შენიშვნა:** თუ გამსვლელი არ მოისურვებს უკან დაბრუნებას ერთი დღის განმავლობაში გამოსვლის ფული არ უბრუნდება და ის იხდის 5.000 მანეთს ერთ მგზავრობაზე.

2) **შენიშვნა:** ღამის 10 საათიდან ქირის გადახდევინება მოხდება შეთანხმებით, დილის 5 საათამდე.

აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადთა ბიუროს გამგე
საიჯარო მაგიდის გამგე.

(130—6—4)

საქართველოს მუშა-ქალთა ფურცელი № 14

დედათა და ბავშვთა დაცვა საქართველოში

საბჭოთა შრომის რესპუბლიკამ ცხოვრების აღმშენებლობის დროს ერთ თავის ძირითად და უმთავრეს ამოცანათ დაისახა დედათა და ბავშვთა დაცვა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პირველი მუხლი ამ ამოცანისა არის ბავშვთა სიკვდილიანობასთან ბრძოლა. ჩვენ უნდა ვიხსნათ მომავალი თაობა ამოწყვეტისაგან.

ბავშვთა სიკვდილიანობასთან ბრძოლის საკითხმა ამ უკანასკნელ წლებში მწვავე ხასიათი მიიღო. მიუხედავათ იმ მძიმე პირობებისა, რომელნიც შექმნა შინაურმა ომმა, საბჭოთა ხელისუფლებამ ზეკაცური ღონისძიებათა გამოჩენით მოჰფინა მთელი მხარე ბავშვთა დაწესებულებების ქსელით, ბავშვთა სახლებით, თავშესაფარებით, კონსულტაციებით და სხვ., რასაც შედეგათ მოჰყვა ბავშვთა სიკვდილიანობის ძლიერი შემცირება. მაგრამ გულის ტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა საქართველოში დედათა და ბავშვთა დაცვის საქმე ძალიან შორსაა რუსეთისაზე. ბავშვთა შესახებ ზრუნვა უმეტეს ნაწილად მხოლოდ დეკლარაციას წარმოადგენს. მაგრამ დღეს საქართველოში ჩვენ ვდგევართ სიკვდილით სასტიკ განადგურების წინაშე, რასაც ამტკიცებენ სტატისტიკის მიერ მოწოდებული ციფრები: მაგ. თბილისში 1910 წელს დაიბადა 843, მოკვდა 546, მაშასადამე მოიმატა 297, 1922 წელს კი დაიბადა 346, მოკვდა 555, დააკლდა 209. ამაზე უკეთესი სურათი არც მაზრებშია.

ცხადია, რომ დაბადებულთა ასეთი მდგომარეობა წარმოადგენს ყოველი ქვეყნისთვის დიდ საშიშროებას და მით უმეტეს საბჭოთა შრომის რესპუბლიკისათვის, რომლის არსებობის საფუძველს ნაყოფიერი შრომა შეადგენს.

ყველაფერი ეს იმას გვიჩვენებს, რომ ჩვენი მმართველი ორგანოების პარტიული ამხანაგები დედათა და ბავშვთა დაცვის მნიშვნელობას სრულებით არაფრათ აგდებდნენ. მაგრამ ცხოვრება თვით მოითხოვს, რომ დედათა და ბავშვთა დაცვის საქმე იქნეს უპირველეს ადგილზე დაყენებული, რადგან ხალხთა სიკვდილით განადგურების ფაქტის წინაშე ყოველივე მნიშვნელობა ეკარგებათ დანარჩენ სახელმწიფოებრივ ამოცანებს. საჭიროა მიხვდნენ ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, რომ ეს საკითხი არ არის მესამე ხარისხოვანი, რომ ქვეყნის ცოცხალი ძალის დაცვა არის „დარტყმითი“ საქმე, რომელიც ფრიად სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს.

დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეში მეტი აქტივობა და ენერგიის გამოჩენა მართებს მუშა ქალთა მასსას.

არ არის ისეთი მხარე საბჭოთა აღმშენებლობაში, რომელიც უფრო ახლო ეხებოდეს ქალს, ვიდრე დედათა და ბავშვთა დაცვის საქმე. შეიძლება ყველას კარგათ არ ესმოდეს, თუ რაში მდგომარეობს დედათა და ბავშვთა დაცვა, მაგრამ თვით ეს სიტყვები უნდა იწვევდეს ჩვენში დახმარების ფართო ამოძახილს. მართლაც ამ ბოლო დროს ქალთა განყოფილებების მეოხებით ემჩნევა გამოცოცხლება ჩვენს მომუშავე ქალთა შორის და დიდი ინტერესი იღვიძებს ამ საკითხისადმი. მომუშავე ქალი იწყებს დახმარებას და ეს დახმარება თანდათან გაფართოვდება.

ეს დახმარება მეტად საჭიროა სახელმწიფოსთვის მიმდინარე მძიმე მომენტში. მუშა ქალმა თვითონ აქტიურად უნდა იმუშაოს ამ დარგში და ხმა მაღლა და დაბეჯითებით მოითხოვოს, რომ დედათა და ბავშვთა დაცვის საქმე იქნეს დაყენებული საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობის სხვა „დარტყმითი“ ამოცანებთან ერთად და მხოლოდ საერთო ძალღონით შეიძლება ბავშვთა სიკვდილიანობასთან ნაყოფიერი ბრძოლის წარმოება; შეიქმნება თავშესაფარი ობლების და მარტოხელა დედებისათვის, ბოლო მოეღება ბავშვთა მიგდების საზიზღარ მოვლენებს და შესაძლებელი იქნება ჩვენ დროს სიამაყით ეწოდოს „ბავშვთა საუკუნე“.

ფლორა.

ბეჭდვითი ორგანო

მუშათა და მუშა-ქალთა მონაწილეობა მასში

არ არის ისე დიდი ხანი, 2 თვის წინეთ, რაც ჩვენ მუშური გაზეთ „პრავდას“ ათი წლის თავი ვიდღესასწაულეთ. ამ ათი წლის განმავლობაში მუშური გაზეთი გამოდიოდა სხვა და სხვა სახელწოდებებით, მაგ: „პრავდა“, „რაბოჩაია პრავდა“, „პრავდა პროლეტარია“, „პრავდა ტრუდა“ და სხვ.. მაგრამ რა სათაურითაც არ უნდა გამოსულიყო, მუშური გაზეთი იყო ერთად ერთი ჭეშმარიტება, ერთად ერთი კანდელი, მანათობელი სისხლით შეღებილ „ცარიზმის“ ბნელეთში. ახლო წარსულში, სხვა და სხვა ნიკოლოზთა და ალექსანდრეთა მეფობის დროს, მუშური ბეჭდვითი ორგანო იყო პროლეტარიატის ხელში ძლიერი იარაღი, რომელიც მიმართული იყო კაპიტალის და მის დამხმარეთა წინააღმდეგ. სულ 5 წლის წინათ ჩვენ არ შეგვეძლო აშკარათ შევბრძოლებოდით ჩვენს მყლეფელებს, დავეტაკებოდით მათ ბრძოლის ველზე, როგორც ამას ჩავდივართ საბჭოთა ხელისუფლების 5 წლის არსებობის განმავლობაში. ყოველი აშკარა გამოსვლისათვის, ყოველ ცხად თუ ფარულ შეტაკებისთვის ჩვენ ამოვყოფდით თავს „ცარიზმის“ და ბურჟუაზიის რკინის ბრჭყალებში. თავისუფალი სიტყვისთვის პროლეტარიატის მებრძოლი ციხეებში იხრჩობოდნენ ან და შორეულ გაყინულში სულს ლევდნენ ციმბირის მიდამოებში. ერთად ერთი ნამდვილი იარაღი ძალადობასთან საბრძოლველათ შექმნა ბეჭდვითი ორგანო. ბეჭდვითი ორგანოს ფურცლებზე ჩვენ ვააშკარავებდით აღმაშფოთებელ ცარიზმის მთელი შინაგან მხარეს, ჩვენ ვუხსნიდით თვალებს მუშებს და ვაჩვენებდით მათ აუტანელ მდგომარეობას, მოვუწოდებდით მათ ამხედრებულიყვნენ და მკაცრი ბრძოლა გამოეცხადებინათ ექსპლოატატორებისთვის და თან ვუჩვენებდით ბრძოლის გზას და საშუალებებს. ჩვენი მოწოდებებისთვის და მხილებებისათვის მუშური გაზეთი განიცდიდა რბევას. არ იყო გამოსული ერთი ნომერი ერთი სათაურით, რომ საჭირო გვიხდებოდა სხვა და სხვა ხერხის საშუალებით გამოგვეშვა მეორე სხვა სათაურით; გაზეთის თანამშრომლებს აპატიმრებდნენ, ასახლებდნენ და სხვ.. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ოდესღაც უსწორო ომში ჩვენ გავიმარჯვეთ, ის, რის შესახებაც ჩვენ ლაპარაკსაც კი გვიკრძალავდნენ, დღეს უკვე განხორციელდა ცხოვრებაში. მდგომარეობის გამოცვლით არ იცვლება მუშათა ბეჭდვითი ორგანოს მნიშვნელობა. მუშათა ორგანომ დღესაც უნდა იკისროს ხელმძღვანელის როლი მუშათა ცხოვრებაში, ის უნდა იყოს მუშათა ყოფა ცხოვრების სრული გამომხატველი, მის საშუალებით ჩვენ უნდა ვაწარმოოთ შეუბრალებელი ბრძოლა მათთან, ვინც სცდილობს ცხოვრების ჩარხი უკუღმა დააბრუნოს, აღვნიშნოთ ნაკლულევანებანი და გამოსასწორებელი საშუალებანი და სხვ. ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ჩვენ გარს გვახვევია როგორც შინაური, ისე გარეული მტრები, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი დები და ძმები (ერთი კლასი ჩვენთან) დღემდის იტანჯებიან კაპიტალის ბრჭყალებში, ჩვენი მოვალეობაა თვალები აუხილოთ მათ, დავანახოთ სინამდვილე, გამოვაღვიძოთ მათში კლასობრივი თვითშეგნება, შევამზადოთ ისინი მტარვალებთან საბრძოლველად და კომუნიზმის მთლიანი დროშით შევიდეთ ყველანი სოციალიზმის სამეფოში. ყველა ამას ჩვენ მივაღწევთ მაშინ, როდესაც საერთო მუშურ საქმეს—სრული განთავისუფლება, როგორც საბჭოთა ფედერაციების, აგრეთვე კაპიტალისტურ ქვეყნების ყველა მშრომელთა, საერთო ძალღონით მოვკიდებთ ხელს. როდესაც ჩვენ გამოცდილ და გამოქნილ იარაღში—მუშათა ბეჭდვით ორგანოში მონობასთან საბრძოლველად ჩვენ ყველანი აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ. განსაკუთრებით საჭიროა ეს მუშა ქალებისათვის, რომელთაც მოიხსნეს რა ტანჯვის ბორკილები, რომლითაც შებოჭილი იყვნენ ისინი რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში, ჯერ კიდევ სავსებით არ გამოთხიზლებულან საუკუნოებრივ ძილისაგან.

დროა სრულიად განთავისუფლოთ ჩვენი სული და ხორცი, დროა სავსებით ვისარგებლოთ მონიჭებულ უფლებით, მუშებთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებულებით და ყველა ქვეყნების მუშებთან აღვმართოთ დედამიწაზე არა ერთი თაობათა მიერ სისხლის ღვარით შეღებილი კომინტერნის წითელი დროშა.

მაშ სწერეთ მშრომელო ქალო მუშა ქალთა „ფურცლებში“ და მით ხელი შეუწყვეთ მუშების და კერძოთ მუშა ქალების კლასობრივ გათვითცნობიერებას.

ლ. ქამალოვიხა.

ფაბრიკაში მომუშავე ქალის დღე

მე ვმუშაობ წუმწუმის ფაბრიკა „ასანთ“-ში და ვაკეთებ „ფანერიდან“ შიგნა და გარე კოლოფებს წუმწუმისთვის. ეს სამუშაო საძნელო არაა, მაგრამ იგი ძლიერ ღლის ადამიანს ერთ ადგილას დიდი ხნის და გაუნძრევლად ჯდომის გამო. რომ მოვასწროთ ჩვენი ნორმის გათავება ჩვენ ერთი წუთითაც არ ვცილდებით ჩვენ კოლოფებს, ჩვენ გვყავს ორი დამხმარე, რომელნიც გვაწვდიან „ფანერკებს“, აკეთებენ წებოს და სჭრიან ქაღალდს. ჩვენ საკოლოფე განყოფილებაში ზის 14 მუშა, ყველა ქალები ახალგაზრდა მხიარულნი; მუშაობა სწარმოებს ჩქარა და ძალდაუტანებლად: სახელოსნოში ხმაურებაა, სიმხიარულეა, დილიდანვე ისმის სჯაბაასი და კამათი სხვა და სხვა საკითხების შესახებ; ხშირად მოჰყვებიან სხვა და სხვა მოთხრობებს, ზღაპრებს და ანეკდოტებს. თუ რომელიმე წინადღეს იყო კრებაზე, მიტინგზე, თეატრში და პროჟექტორში უზიარებს ამხანაგებს თავის შთაბეჭდილებებს, უყვება ნახულის შინაარსს ყველანი დიდის სიამოვნებით და ინტერესით უსმენენ და სთხოვენ მოუთხროს მათ კიდევ სხვა რამე. ჩვენთან არიან კარგი ხმის მქონენიც, მღერიან გუნდათ რევოლუციონურ სიმღერებს, სხვა და სხვა რომანსებს და დროც შეუმჩნევლად გადის. მუშაობის დროს ხდება შეჯიბრებაც: რომ არ ჩამოვრჩეთ ერთმანეთს ამხანაგები ერთი მაგიდიდან მეორეზე გადავძახებთ ერთმანეთს ვინ რამდენი გააკეთა.

ხანდახან ჩვენ მივყავართ სხვა სახელოსნოებში, სადაც სიამოვნებით მივდივართ, ჩემის შეხედულებით სხვა სამუშაოსთან შედარებით ჩვენი კოლოფების კეთება უფრო ცოცხალი სამუშაო. საინტერესოა, როგორ ალიმართება ყოველ ჩვენთაგანის გვერდში კოლოფთა მრავალ სართულიანი სახლები მუშაობის გათავებისას. 11 საათზე ჩვენ ვსწყვეტთ მუშაობას ნახევარი საათით. ამ ხნის განმავლობაში მუშები ისვენებენ, საუზმობენ და ჩაის სვამენ—ფაბრიკაში სადილობაც შეიძლება ძალიან დაკლებულ ფასებში, რაც ბევრ მომუშავეთათვის ძალიან ხელსაყრელია. ჩემი ამხანაგი ქალი მუშაობს მეორე განყოფილებაში, ის სდებს ერთმანეთში წუმწუმის კოლოფებს. მე ხვდები მას დასვენების დროს; ამ ნახევარ საათის განმავლობაში ჩვენ უზიარებთ ერთმანეთს ჩვენ აზრს, ვკითხულობთ წიგნს და ვუყვებით ერთმანეთს სხვა და სხვა ახალ ამბებს. ხან და ხან მუშაობის შემდეგ ჩვენი თავმჯდომარე ამხ. გოზალოვი შეჰკრებს ყველა მუშებს და გვესაუბრება, აქ ირჩევა სხვა და სხვა საფაბრიკო საქმეები; ამხ. გოზალოვი აიძულებს ყველამ გამოსთქვას თავის აზრი, გვასწავლის როგორ უნდა საერთო კრებების ორგანიზაციულად მოწყობა-ჩატარება, როგორ უნდა თავმჯდომარეობა, მდივნობა და სხვა. მუშებს ეს მოსწონთ; ჩვენთვის ეს საინტერესოა და სასარგებლოც. თვეში ორჯერ ჩვენთან მოდიან ქალთა განყოფილებიდან, აკეთებენ მოხსენებას პოლიტიკასა და მიმდინარე მომენტის შესახებ.

მე ვარ დანიშნული დელეგატათ ქალთა განყოფილებაში; ვესწრები კრებებს, რომელნიც ძალიან საინტერესოა და მეორე დღეს ყოველთვის გადავცემ ხოლმე ჩემ ამხანაგებს იმას რასაც იქ გავიგონებ.

ორ ნახევარ საათზე ჩვენ ვათავებთ მუშაობას, ვალაგებთ ჩვენს მაგიდას და მივდივართ სახლში.

მოვალ თუ არა სახლში პირს ვიბან, ტანისამოს ვიცვლი და ვსადილობ. სადილის შემდეგ ყოველთვის გამოინახება სახლში რაიმე სამუშაო. ამის შემდეგ ცოტას დავისვენებ და ვკითხულობ მუშურ გაზეთს ან წიგნს. საღამოს ჩაის სმის დროს ჩვენ ვმუსაიფობთ დღევანდელი ცხოვრების შესახებ, რის შემდეგაც მივდივარ სასეირნოდ და ან ვჯდები სამეცადინოთ; ვმეცადინობ თერთმეტ საათამდის და მერე ვიძინებ. ასე მიმდინარეობს მომუშავე ქალთა სამუშაო დღე.

ფაბრიკა „ასანთში“ მომუშავე ქალი.

მუშათა შრომის არტელი „კოლექტიური შრომა“-ს ცხოვრებიდან

მუშათა შრომის არტელ „კოლექტიური „შრომა“-ს მაუდის ფაბრიკაში, რომელიც მოთავსებულია ვორონცოვის ქ. № 58, გაცხარებული მუშაობაა, წარმოება ნორმაზე მეტია. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 25 ია, რომელთაგან 16 ქალი და 9 კაცი; ხელფასი მორიგებითაა.

ჯამაგირს ვღებულობთ წესიერად, მუშები და მოსამსახურენი მეგობრულად მუშაობენ, ზოგიერთნი უკვე სარგებლობენ ხვედრი შვებულებით. ფაბრიკაში არის ფაბკომი, საჩეიკო ორგანიზატორი ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლათ; მუშათა შორის არის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის წევრნიც. კულტგანყოფილება მუშაობს. მუშები ჩაწერილია კლუბებში და სამკითხველოებში; ერთი მუშა-ქალი დადის პარტიულ სკოლაში და ორი კი წერა კითხვის სკოლაში, დანარჩენები წერა კითხვის მცოდნენი არიან. მხოლოდ ერთი ნაკლულევანებაა ჩვენს ფაბრიკაში—არ არის სასმელი წყალი. საწყალ მუშა ქალებს უხდებათ ჩაისათვის წყლის მოტანა მტკვრიდან. რატომ არაა წყალი ფაბრიკაში?—ეს სახ. მეურ. უმ. საბჭოს ბრალია.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მართებს ქალ. აღმასკომის 12 მილიონი (რადგან ეს ფაბრიკა წინათ ამ საბჭოს ეკუთნოდა).

მიუხედავათ იმისა, რომ ს. ს. ს. რ. მქსოველთა პროფკავშირმა შუამდგომლობით მიმართა ამის შესახებ ქალ. აღმასკომს და ამ უკანასკნელმაც ეს საქმე შრომის სახალ. კომისარს გადასცა—დღემდის არავითარი შედეგია.

და ჩვენ საცოდავმა მუშა ქალებმა უნდა ვიწყურვილოთ და ავათაც გავხდეთ სხვისი ცოდვისათვის.

ამისათვის ჩვენ ვთხოვთ სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს გაათავოს ეს საქმე რაც შეიძლება ჩქარა, რომ ჩვენ მუშა ქალებს მდგომარეობა შეგვიმსუბუქდეთ.

ერნი.

მეკოლოფეთა ცხოვრებიდან

ჩვენ, მეკოლოფეები წინეთ, მენშევიკების დროს ვმუშაობდით წვრილ მეპატრონეებთან და ვყავვით გაბნეული პატარა სახელოსნოებში, რადგან არ ვიყავით შეკავშირებულნი. მეპატრონენი სარგებლობდნენ ამ მდგომარეობით და ისე გვყვლეფდნენ, როგორც მათ უნდოდათ, უმეტესად კი მცირე წლოვანებს, რომელნიც უმრავლესობას შეადგენდა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაარსდა პროფკავშირები, სადაც დაცული უნდა ყოფილიყო მუშათა ინტერესები. ჩვენ გახარებულნი ვიყავით, გვეგონა პროფკავშირების სახით ვეყოლებოდა მუშათა ინტერესების დამცველი, მაგრამ ისინი უფრო დედინაცვლები გამოდგნენ, ვიდრე ნამდვილი მფარველნი.

პირველად მოგვკიდეს ხელი მეკოლოფეებს, ვაიიმდა სერიოზულად, მბეჭდავებმა, რომელთაც რწმუნებით ჩვენი და მათი ხელობა ერთი უნდა ყოფილიყო და ამიტომ უნდა ჩავწერილიყავით მბეჭდავთა კავშირში. მეთამბაქოენი კი გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ ვამზადებთ კოლოფებს მათთვის და ამიტომ მოვალე ვართ მათ კავშირში ჩავეწეროთ. მბეჭდავთა და მეთამბაქოეთა ერთმანეთში დიდი დავის შემდეგ ჩვენ ჩავეწერეთ მეთამბაქოეთა კავშირში, გარდა სახელოსნო „პეკლესის“ მომუშავეთა, რომელნიც უფრო დიდები და შეძლებულნი იყვნენ. იმის შემდეგ რაც ჩვენ მეთამბაქოებთან ჩავეწერეთ, დაიწყო ჩვენი დაზვერვა. მეთამბაქოენი ღებულობდნენ კარგ ჯამაგირებს და ჩვენ კი მათი ჯამაგირის მესამედს, რაც ერთი გირვანქა პურის ფასს უდრიდა. წევრიდით კავშირში გავიგეთ, თუ რატომ იყო ჯამაგირებში ასე დიდი განსხვავება, მდივანი შეგვპირდა დაენიშნა საერთო კრება და გამოერკვია ეს საკითხი. კრებაზე თავი მოვიყარეთ, ვუცადეთ ხელაძეს დიდხანს, მაგრამ მან კრებაზე მოსვლა არ ინება. ამნაირათ ვიარეთ ჩვენ ამ საკითხის გამოსარკვევათ მთელი თვე—ბოლოს გვიპასუხეს, რომ პატრონები „ღარიბები“ ა და არ შეუძლიათ მეტის მოცემა. გაიგეს თუ არა ეს მეპატრონეებმა სიცილი დაგვაყარეს—კავშირი თქვენზე უფრო ქვეყანაა და ადრე გაიგო, რომ ისინი ღარიბებია და მეტის მოცემა არ შეუძლიათო. მაგრამ დიდხანს არ დასცალდათ მათ ჩვენზე დაცინვა. მეკოლოფეებათვისაც ამოვიდა მზე იმ ამხ. მეკოლოფეთა სახით, რომელნიც იყვნენ მბეჭდავთა კავშირში.

მათ მიგვიწვიეს ჩვენ ფარულ კრებზე; ჩვენ თუმცა დავდიოდით, მაგრამ ნდობა მაინც გვაკლდა, უფრო მას შემდეგ, როდესაც „პეკლესის“ ერთმა მუშათაგანმა გვირჩია ჯამაგირის მომატება მოგვეთხოვა, ჩვენ ვფიქრობდით, როგორ შეიძლება ჯამაგირის მომატების მოთხოვა, როდესაც კავშირის მდივანმა ხელაძემ გვითხრა არ შეიძლებაო—ხელაძეს კი ჩვენ ვთვლიდით კავშირის მეფეთ და ღმერთათ. დიდი ყოყმანის შემდეგ გავბედეთ მოგვეთხოვა მომატება. გავბედეთ იმიტომ, რომ ჯერ ერთი გაჭირვება გვაიძულებდა და, მეორეც, ფაბრიკა „ფეკლესის“ მუშათა მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ძალიან სარწმუნონი იყვნენ. მივედით კავშირში და შიშისაგან ფეხები გვეკანკალებოდა. ჩვენდა საბედნიეროთ ხელაძე იქ არ იყო; იყვნენ ლევინი და მახარაშვილი, ტექნიკური მდივნები, რომელთაც მხოლოდ ყვირილი იცოდნენ მუშებზე და მუშტებს და იარაღს კი ხელაძესავით არ ხმარობდნენ. როდესაც მათ გავაცანით ჩვენი მისვლის მიზანი, ლევინმა დაიწყო ყვირილი მე ვიცი ვინც გასწავლა თქვენ მომატების მოთხოვა; თქვენ თქვენი მოთხოვნილებით იქამდი მიიყვანთ საქმეს, რომ ღარიბი მეპატრონენი იძულებული იქნებიან დაკეტონ სახელოსნოები და თქვენ ქუჩაში ამოყოფთ თავსო. ჩვენ დავეჯერეთ მას, და დავბრუნდით ხელცარიელნი; როდესაც მოვუყვით ამის შესახებ ჩვენებს მათ გვირჩიეს მიგვემართა ამ საკითხის შესახებ შრომის კომისრისთვის. დაშინებულნი ჩვენი მეთაურებიდან ჩვენ ველარ გავბედეთ წავსულიყავით იქ და განვაგრძეთ მუშაობა ჩვენი მეპატრონეებისთვის მუქთად, ესენიც სარგებლობდნენ ამით და ადიდებდნენ თავის კაპიტალს.

ბოლოს ერთმა ჩვენმა ამხ. მეკოლოფემ მოგვკიდა ხელი სერიოზულად და იმდენი მოახერხა, რომ მეკოლოფენი იყვნენ გამოყოფილნი ცალკე სექციაში. ამისათვის მას დიდი ბრძოლა დასჭირდა ლევინთან, რომელიც დიდი წინააღმდეგი იყო მეკოლოფეთა ცალკე სექციაში გამოყოფის. ამ დღიდან ჩვენ ვიგრძენით, რომ ჩვენც მუშები ვართ და შეგვიძლია ვიბრძოლოთ ჩვენი არსებობის გასაუმჯობესებლად, მოგვიმატეს ჯამაგირი, რომელიც გაუთანაბრეს მეთამბაქოეთა ჯამაგირებს, მოგვცეს წინსაფრები, საპონი და დაგვინიშნეს იქამი, რომლის არსებობის შესახებ ჩვენ დღემდის არავითარი წარმოდგენა არ გვქონდა. ასეთი გაუმჯობესების შემდეგ ჩვენ არა ერთხელ მივმართეთ ლევინს, ხელაძეს კი გვეშინოდა, რატომ დღის არ კეტავენ ჩვენი „ბატონები“ სახელოსნოებს და შესაძლებლად სცნობენ გადიდებულ ჯამაგირის მიცემას, რაზედაც მან გვიპასუხა, რომ არც მას და არც კავშირს ამის [illegible] დრო არ ჰქონდათ და ვისაც აქვს დრო მან [illegible]. მაგრამ ამან არ ჩაიარა მუქთად, დაგვიწყეს თვალყურის დევნება, რა კეთდებოდა ჩვენ სექციაში, ვითომ იქ ყაჩაღები ისხდნენ, დაატუსაღეს ჩვენი ტექნიკური მდივანი ამხ. სიმონიანი, უნდოდათ დაეტუსაღებინათ ამხ. ფრიდონოვიც, ამ საქმის მთავარი მონაწილე, მაგრამ მერე გადაიფიქრეს, თუმცა გაფაციცებით ადევნებდნენ მას თვალყურს განსაკუთრებულ რაზმელები.

ახლა ჩვენ დანიშნული მეკოლოფეები აღარა ვართ, ჩვენ ისეთივე მუშები ვართ, როგორც სხვანი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ამხ. ფრიდონოვმა ხელი მოჰკიდა ყველა წვრილ სახელოსნოების ერთად გაერთიანების საქმეს, ამისათვის დიდი ბრძოლა იყო საჭირო ყოფილ მეპატრონეებთან, რომელთაც ძალიან უჭირდათ თავის საკუთრების „სტანოკების“ ხელიდან გაშვება, რადგან მათი დახმარებით ისინი ცხოვრობდნენ სხვისი ოფლით და სისხლით. საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენ გამოვცოცხლდით სულით და ხორცით, ვმუშაობთ, ნესტიან სარდაფების და ბნელ სახელოსნოების მაგივრად; სუფთა და ნათელ შენობაში, სადაც ჩვენთვის ყოველივე საშუალებანია მოწყობილი, როგორც კავშირის ნამდვილი წევრებისთვის და არა როგორც გერებისთვის, როგორც ჩვენ კავშირის თავმჯდომარე აკოფა ერზოიანი გვიწოდებდა.

პოპოვის და ამხ. კოლოფის ფაბრიკაში მომუშავე ქალი.

ქრონიკა

მუშაობა მაზრებში

— **რაჭის მაზრაში** გახსნილია საქსოვი სახელოსნო, მაგრამ [illegible] უქონლობის გამო მუშაობა მოიფერხება, მოწყობილია საბოსტნე და სასოფლო მეურნეობის არტელი უმუშევარ ქალთა შემადგენლობით.

— **შორაპნის მაზრა.** დამშეულთა დახმარების საქმეში ქალთა განყ. ღებულობს აქტიურ მონაწილეობას, როგორიც არის ხორბლის დარიგება და სხვა.

სისტემატიური კრებები იმართება ჭიათურის რაიონში (მუშათა რაიონში), ამავე რაიონში მოწყობილია საქსოვი არტელი.

მაისში ყვირილის რაიონში მოწყობილ იქნა 58 კაცისაგან შემდგარი არტელი, რომელნიც ჩაწერილი არიან პროფკავშირში. არტელების მოწყობით ქალთა განყოფილებამ მოიპოვა ავტორიტეტი უპარტიო მასაში. არტელის მუშებთან კვირაში ერთხელ რეგულიარულათ იმართება მოთხრობების და მოხსენებების კითხვები. სოფლის გლეხებისგან მოდის მოთხოვნილებები სოფლებში რეგულიარულად კრებების გამართვის შესახებ, მაგრამ თანამშრომელთა რიცხვის შემოკლების გამო ზოგჯერ რჩებიან დაუკმაყოფილებელნი.

ჭიათურაში არტელის მიერ გაკეთებულია 200 არ—ნი აბრეშუმის მატერია და 30 არ—ნი შალისა. ჭიათურის ქალთა განყ., რომელსაც სათავეში უდგას რევოლუციის ძველი მუშაკი ამხ. ჩიტიშვილი, სარგებლობს დიდი ავტორიტეტით და პოპულიარობით. ქალთა განყ. მიერ ყვირილაში და ჭიათურაში გახსნილია საბავშვო ბაღი, პირველში 30 ბა—ითა და მეორეში 35-ით.

— **ფოთის მაზრა.** ქალთა განყოფილების გარშემო შემოკრებილია 200 ქალამდე. საბჭოთა ხელისუფლება ქალთა განყ. უყურებს დიდი ნდობით. ქალები დიდი თანაგრძნობით ესწრებიან საერთო კრებებს, დაინტერესებული არიან ქალთა განყ. მუშაობით. გატარებულია დელეგატთა ახალი არჩევნები აგრეთვე დაწყებულია წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია. დამშეულთა დახმარების საქმეში ქალთა განყ. ღებულობს აქტიურ მონაწილეობას. ახლო მომავალში გაიხსნება „მრეცხავთა“ არტელი.

— **ზუგდიდის მაზრა.** ქალთა განყოფილების და სააგრონომო განყ. შორის არის მჭიდრო კავშირი, სადაც ყოველ კვირაში იმართება სხვა და სხვა თემებზე საუბარი. ქალთა განყ. მჭიდროთ შეკავშირებულია სახალხო სასამართლოსთან. უპარტიო ქალთა მასის უმრავლესობა ყოველთვის მიდის თავის ინტერესების დასაცავად ქალთა განყოფილებაში.

— **სენაკის მაზრა.** ქალთა განყოფილება შეუდგა რაიონებში არტელების მოწყობას. ქალთა განყ. მიერ გახსნილია „საბავშვო ბაღი“, აგრეთვე შეუდგნენ „საბავშვო სახლის“ მოწყობას. დამშეულთა დამხმარე კომიტეტში შედის ქალთა განყ. წარმომადგენელი. ქალთა განყ. ინიციატივით ეწყობა საღამოები, წარმოდგენები და სხვა. ყოველ კვირაში ხდება ყულაბებით ფულის შეგროვება. პარტიული კომიტეტი სერიოზულათ უყურებს ქალთა განყოფილებას და შველის მას მუშაობაში.

ბათომი (აჭარა). აჭარის მშრომელ ქალთათვის გახსნილია ჭრა-კერვის სკოლა. ქალთა განყ. მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები ამ სკოლის მატერიალურად დახმარების საქმეში. ჩაქვის რაიონში მომუშავე ქალებ შორის გატარებულია კრებები, მასთან გამოირკვა, რომ მუშა ქალები იმყოფებიან ძალიან ცუდ პირობებში.

შედგარია „საბავშვო სახლის“ მომწყობი კომისია, სადაც შედის ქალთა განყ., სახალხო განათ., ჯანმრთელობის და „ჩაქვის“ წარმომადგენელი. უმუშევარ ქალთა უმრავლესობა მიმართავს ქალთა განყ. ადგილების აღმოსაჩენათ ქალთა განყ.-აც უწევს მათ დახმარებას შეძლების დაგვარათ. ქალთა განყ. ყოველგვარ საშუალებას ხმარობს მოაწყოს უმუშევარ ქალთათვის „არტელი“, რომელიც შეამსუბუქებს ქალების ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობას.

— **სიღნაღის მაზრა.** ქალთა განყ. მიერ მოწყობილია სასოფლო-მეურნეობის „არტელი“ აგიტპროპის დახმარებით, სადაც მუშაობს 30-კაცამდე. ამ არტელისათვის თემის კომიტეტის მიერ გაცემულ იქნა 34 ფუთი ხორბალი, და ერთი მილიონი მანეთი ფულათ. ამან შექმნა ქალთა განყოფილებას პოპულიარობა და აამაღლა მისი ავტორიტეტი, მასთან ქალთა განყ. აწყობს „საქსოვ არტელს“, ეკონომიური განყოფილება უწევს დიდ დახმარებას. გახსნილია წერა კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის სკოლა, სადაც მეცადინეობა მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. ქალთა განყ. და პროფკავშირის შორის არის მჭიდრო კავშირი. პროფკავშირის ყველა კრებებს ესწრება ქალთა განყ. წარმომადგენელი. ქალთა განყ. და განათლების განყ. ინიციატივით გაიხსნა „საბავშვო ბაღი“. ქალთა განყ. აწარმოებს მოლაზნებ შორის მუშაობას, ზოგიერთებში იმოქმედა ქალთა აგიტაციამ და დაანება მონურ ცხოვრებას თავი.

— **სოხუმი (აფხაზეთი).** ქალთა განყოფ. შეუდგა აბრეშუმის საქსოვ არტელის მოწყობას. სამურზაყანოში თითქმის ყველა ქალმა იცის აბრეშუმის მოვლა, თითონ ხარშავენ პარკს, იღებენ ძაფს და ქსოვენ საუკეთესო ხარისხის მატერიას. არტელის მოწყობა განსაკუთრებით საჭიროა აფხაზეთის მშრომელ ქალთათვის,—საკითხი გადატანილია სახ. საბჭ. კომისარიატში. სუხუმში არის ორი „საბავშვო ბაღი“. საბჭოში გამოცვლილია ზოგიერთი მომუშავენი, რის შემდეგ უფრო გაცხოველდა მუშაობა. ახალ ათონში არის რუსეთის დამშეულ ბავშვთა კოლონია, რომელიც ძალიან ცუდ პირობებში იმყოფებოდა, მაგრამ ქალთა განყოფილების ენერგიული მუშაობით კვლავ დადგა სათანადო ზომაზე. დამშეულთა დამხმარე ორკვირეულის ჩატარებაში ქალთა განყ. ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას. აფხაზეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტში შედის ქალთა განყ. წარმომადგენელი. ივნისის თვის განმავლობაში გატარებულია 10 საერთო კრება. აფხაზეთის სტუდენტების მიერ აყვანილ იქმნა 10 დამშეული ბავშვი, რისთვისაც ს. ც. ქ. ქალთა განყ. უძღვნის გულითად მადლობას.

— **ახალ ქალაქის მაზრა.** ქალთა განყოფილების გარშემო ჯგუფდება 500-კაცამდე, უმრავლესობას შეადგენ თათრის ქალები. ტარდება საერთო კრებები. მოწყობილია მატყლის საწარმოო არტელი, რომლის სახელწოდება არის „წინ“. თემის კომიტეტის მიერ გაცემულ იქნა ახალ-ქალაქის მშრომელ ქალთათვის 34 ფუთი ხორბალი. 40 კაცმა დაამთავრა წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა, რომლებმაც თავისუფლად ისწავლეს წერა კითხვა. ქალთა განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევს დამშეულთა დახმარების საქმეს. დამშეულთა რიცხვი უდრის 18 პროც.

[illegible] 10,000.

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.